საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 23 ოქტომბერი, 1919 წ.

ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, [illegible] ყველგან 2 მანეთი, განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი 3 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედ[illegible] და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.
ტელეფონი 16—62.

№ 241 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 241

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: კონსტანტინე სოფრომის ძე ყვავაძე, მღვდ. მიხეილ გიორგაძე შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ; მეგობართ და ნაცნობთ პირველის უსაყვარულესი და დაუვიწყარი უდროვოთ გარდაცვლილ მეუღლის, მეორე საყვარელი შვილის და მესამენი დაუვიწყარი დის რკინის გზის სკოლის მასწავლებლის

ნინას

სულის მოსახსენებლათ წლის თავზე 24 ოქტომბერს (ახ. სტ.) დღით ხუთშაბათს, 11 საათზე, ხაშურის რკინის გზის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა, პანაშვიდი კი სასაფლაოზე. (ფ. 3—3)

გულდათუთქული და ღრმად დამწუხრებულნი დედა მარიამი შვილებით, ბაგრატ მეუღლით მარუსიათი, გიორგი და არტემ ქლენტები, დაი ნინა და სიძე თვაუროვი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობრებს, რომ 20 ამა თვეს შუაღამის ორ საათზე, ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა მათი საყვარელი ძვირფასი

სიდონია დიანოზის ასული ქლენტი

პანაშვიდი 22 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, რომლის გამოსვენება მოხდება სახლიდან ყაზბეგის ქუჩა № 17, დილის 10 საათზე, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება კუკიის სასაფლაოზე 23 ოქტომბერს. (3754—2—2)

რკინის გზელთა ყრილობისათვის

დღეს იხსნება რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა ყრილობა.

ეს მეორე ყრილობაა დამოუკიდებელ საქართველოს რკინის გზის დემოკრატიისა.

მრავალი დიდი და თავსატეხი საკითხი აქვს ყრილობას გადასაწყვეტი. და რესპუბლიკის მთელი დემოკრატია, ყოველი მოქალაქე დიდის ინტერესით მოელის ამ ყრილობის მუშაობას, მის დადგენილებებს.

დღევანდელს გარდამავალ ხანაში, როცა ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის ბედი ჯერ კიდევ არ არის ჩამდგარი სათანადო იურიდიულ კალაპოტში, რკინის გზას, გარდა ეკონომიური მნიშვნელობისა, აგრეთვე დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. ამას კარგათ გრძნობს როგორც საერთოდ საქართველოს დემოკრატია, ისე, კერძოთ, რკინის გზის დემოკრატია, რის დამამტკიცებელია რკინის გზის დღევანდელი მდგომარეობა. რკინის გზა დღეს ის აღარ არის, რაც ამ ორი წლის წინ იყო. მეტის თქმაც შეიძლება: რკინის გზის საქმეს ყოველ თვე გაუმჯობესება ეტყობა. და ეს თავმდებია იმის, რომ პროგრესის გზაზე შემდგარი რკინის გზის საქმე კიდევ უფრო ნაყოფიერად იწარმოებს და სახელმწიფოს ეს მნიშვნელოვანი დარგი სავსებით ნორმალურ კალაპოტში ჩადგება.

მაგრამ ჩვენ ვერ მოვიხდიდით ჩვენს მოვალეობას, რომ სიმართლე დაგვემალა და ეს სიმართლე იმაში მდგომარეობს, რომ რკინის გზის საქმეს ბევრი ნაკლი აქვს, რომელსაც გამოსწორება ესაჭიროება.

მაგრამ ყრილობა ვერ დაკმაყოფილდება რკინის გზის მოწყობის საკითხით. ეს არც არის არსებითად ყრილობის საქმე. ყრილობას სულ სხვა კითხვები აქვს გადასაწყვეტი: ეს არის საკითხი თითონ დემოკრატიის დარაზმვის, მისი კავშირის განახლების და მოწყობისა. რკინის გზის დემოკრატია ავანგარდია საერთოდ დემოკრატიის და ამას უნდა მიაქციოს ყურადღება დღევანდელმა ყრილობამ.

იმ საკითხთა შორის, რომელიც ყრილობის დღიურ წესრიგშია დასმული, უმთავრესია საკითხი ადმინისტრაციის მონაწილეობისა კავშირებში. ეს საკითხი ორი მხრით არის საყურადღებო: მის ამა თუ იმ სახით გადაჭრას მნიშვნელობა აქვს როგორც რკინის გზის საქმის მოწყობის, ისე დემოკრატიულ ორგანიზაციის კავშირის მდგომარეობისათვისაც. ადმინისტრაციის შესვლა კავშირში დაუშვებელია როგორც მართველობის თვალსაზრისით, ისე პროლეტარულის.

მაგრამ ეს დებულება სავსებით სავალდებულოა ნორმალურ პირობებში. ჩვენში კი ჯერ არ დამყარებულა ნორმალური ცხოვრება. ამიტომ ყრილობამ უნდა აირჩიოს საშუალო გზა, როგორც გარდამავალი საფეხური, რომ მეტის აჩქარებით საქმე არ დაბრკოლდეს. და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სწორი ინსტინქტი არ მიატოვებს ჩვენს ამხანაგებს და შეაძლებინებს მათ გაჭირვებულ მდგომარეობიდან პირნათლად გამოსვლას.

ამ იმედებით მივესალმებით ჩვენ რკინის გზელთა ყრილობას და ვუსურვებთ მას ნაყოფიერ მუშაობას.

ახალი ქალაქები

ახლად გაქალაქებულ დაბების მდგომარეობის ირგვლივ დიდი მითქმა მოთქმა და ვნებათა ღელვაა. ერთნი თავგამოდებით იცავენ დღევანდელ მათ უფლებრივ მდგომარეობას, მეორენი კი ასეთივე თავგამოდებითა და დაჟინებით მოითხოვენ ამ ქალაქთა დაუყონებლივ ხელახლა გასოფლებას. აქ არ შევუდგებით ამ მიმდინარეობათა საბუთების დაწვრილებით გარკვევას. ხოლო ეხლავ უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხის გამწვავებაში დიდ როლს თამაშობს ზოგიერთი გაუგებრობა. სხვათა შორის დიდ შიშსა და აფორიაქებას იწვევს ის ხმები, თითქოს მთავრობას განზრახული ქონდეს ყველა ქალაქებში ერთნაირად გაატაროს მიწის მუნიციპალიზაცია. თითქოს თფილისსა და ზესტაფონს ან ხონში ერთნაირად გადიჭრება მიწის საკითხი. ასეთი შიში სრულიად უნიადაგოა, ვინაიდან გადაჭრით უნდა ითქვას რომ ეს საკითხი ერთნაირად ვერ გატარდება და არც გატარდება თბილისსა და ქუთაისში ერთის მხრით და მეორე მხრით ნახევრათ სოფლურ ქალაქებში. მომავალი კანონი ამ კითხვის შესახებ სავსებით იქნება შეფარდებული ქალაქთა ხასიათთან და მის ეკონომიურ მდგომარეობასთან. ისიც უდავოთ უნდა ჩაითვალოს, რომ დღევანდელი საქალაქო და საერთოთ თვითმართველობათა დებულება სრულიად არ არის დამაკმაყოფილებელი და ეს საქმე მორიგ კითხვათ უდგას მთავრობას თავის მუშაობის წესრიგში. მართალია თვითმართველობათა ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ადგილობრივ მართველობათა დებულების გამოცემა დაგვიანდა, მაგრამ ამ გარემოებას ერთი მეტათ დადებითი მხარეც აქვს. სახელდობ, მომავალი დებულება უკვე კაბინეტში შეთხზული, ან უცხოენიდან გადმოწერილი რამ კი არა, არამედ თვით ხალხის გამონაცადისა და შემოქმედების ნაყოფი იქნება; მომავალი ადგილობრივი მართველობა ბუნებრივათ აღმოცენდება ჩვენს სამშობლო ნიადაგზე. მთავრობამ უნდა ისარგებლოს იმ მდიდარი მასალითა და გამოცდილებით, რომელიც უკვე შეიძინა ჩვენმა ერობებმა და ქალაქებმა. მომავალი დებულება უნდა იქნეს ერთი მთლიანი შენობა ადგილობრივ მართველობასა და ამ შენობაში თავისი ადგილი ექნება მიჩენილი, როგორც სოფელს, ისე მაზრასა და ქალაქს, ხოლო ქალაქიცაა და ქალაქიც. მაგალითად, თფილისისა და სამტრედიის ერთ ფარგალში მომწყვდევა და ერთნაირი უფლებებითა და მოვალეობით აღჭურვა შეუძლებელია. მაგრამ იმავე დროს სამტრედიისათვის არც წმინდა სასოფლო მართველობა გამოდგება. ამგვარად მომავალ დებულებაში სათანადო ფორმა და ადგილი უნდა მიეცეს რესპუბლიკის მრავალფეროვან სოფელ-დაბა-ქალაქებს. და აი სწორეთ მაშინ გადაწყდება ის რამდენიმეთ უხერხული მდგომარეობა, რომელშიაც დღეს არის საერთოდ ადგილობრივი მართველობის საქმე და კერძოთ ახალი ქალაქებიც. მანამდი კი ეს საკითხი ბრძოლისა და ვნებათა ღელვის საგანი კი არ უნდა იქნეს, არამედ დაკვირვებული და დინჯი შესწავლისა და შესაფერი მასალის შეგროვების.

პრესა

„საქართველო“ სამშობლოს გუშაგის მანტიაში გახვეულა მისი მამულიშვილური თავმოყვარეობა შეურაცყოფილია იმით, რომ მტრები ყოველ მხრიდან სჩაგრავენ საქართველოს:

„ვერ ვახერხებთ თავის დაცვას, შეურაცმყოფელ და მტრულ ღონისძიებას, რომელსაც ქართველებისა და საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ ხმარობენ, სათანადო პასუხს ვერ ვაძლევთ. გვაკლია მოვლენის პოლიტიკური დაფასება და რაც ამაზედ უფრო სამწუხაროა, მოგვიდუნდა ნაციონალური ღირსების ნერვი. ამ ორი ნაკლის გამო, ვერ ვერკვევით მოვლენებში და მთელი ჩვენი საგარეო პოლიტიკის მიმდინარეობა ბრმად მინდობილია გარემოებათა თამაშს. არ სჩანს ჩვენი ნაციონალური სუბიექტის გარკვეული ნების ყოფა და ხასიათი. ვისაც უნდა, თავში ჩაგვცხებს, ვისაც სურს, შეურაცგვყოფს,—პასუხის მომთხოვი და დამცველი არავინ გამოგვიჩნდება. ყველაფერს ვიტანთ, ვითა უმწეონი და უპატრონონი“.

ყველა ამის ბრალს გაზეთი, რა თქმა უნდა სოც.-დემოკრატიას სდებს.

„შეიძლება იმ ბანაკში, სადაც ნაციონალური ღირსება არასოდეს მოწონებაში არ ყოფილა, სადაც, პირიქით, იგი მუდამ იყო მწარე ირონიის საგანი, ფიქრობენ, რომ ამ გზით ჩვენი პოლიტიკის საერთო ჯამს პრაქტიკული გამორჩენა ექნება, რომ დამცირების თავმდაბლად ატანა ქვეყნისთვის უფრო მოსაგები იყოს, ვიდრე განყენებული ეროვნული ღირსების გამოქომაგება. როგორც პატარა ერს, შეიძლება იძულება გვადგეს ასეთი მსხვერპლის გაღების და ცხელ გრძნობაზედ ცივი ანგარიშისა და პოლიტიკური ანგარების გამეფება გვმართებდეს...“

ყველა ამას ამბობს ორგანო იმ ხალხისა, რომლების სპეციალობასაც მუდამ შეადგენდა „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ ლაქუცი და ფეხთა ლოკვა. „საქართველო“ ერთგული მატარებელია იმ ტრადიციებისა, რომელიც მთელი საუკუნის განმავლობაში ასწავლიდა ჩვენს ხალხს მორჩილების გზით რუსეთის თვითმპყრობელობის გულის მოგებას. ეროვნულ დემოკრატების პარტია იმ წრეებიდან გამოვიდა, რომლებიც მუდამ პირველი რიგები ეჭირათ თვითმპყრობელობის ზეიმებში, რომლებმაც საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავი ასეთის ლაქიურის მორჩილებით გადაიხადეს. და აი ეს ვაჟბატონები ნაციონალური თავმოყვარეობის უქონლობას უკიჟინებენ იმ სოც.-დემოკრატიას, რომელმაც ქართველი ხალხი ააცილა ფეხთა მლოკავობის და ლაქიობის გზას და ამით იხსნა ის იმ დამცირებისაგან და ეროვნულ თავმოყვარეობის შელახვისაგან, საითაც მას მიეწეოდა ნაციონალისტები. უტიფრობა გვინახავს, მაგრამ არც ასეთი!

სახელმწიფო მონოპოლია და კოოპერაცია

სახელმწიფო მონოპოლიას ორნაირი მოსაზრება ედება საფუძვლათ, როდესაც რამე წარმოებას იღებს სახელმწიფო და ამ წარმოებას, აცლის კერძო პირს, კერძო კომერციულ დაწესებულებას, სახელმწიფო ცდილობს მონოპოლიის სახით გააძლიეროს თავისი ხაზინა; ვინაიდან მონოპოლია სპობს კონკურენციას, სახელმწიფო ცდილობს მიაწოდოს ხალხს საჭირო საქონელი ხელმისაწვდომ ფასებში. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ცდილობს გაუადვილოს ცხოვრება ხალხს.

სახელმწიფო მონოპოლია სპობს რა კერძო მოგებას, კერძო ინტერესებს რაიმე წარმოების დარგში, აყენებს იმის ადგილზე სახელმწიფოს ინტერესებს, სახელმწიფოს მოგებას. ასეთია მონოპოლიის დედა აზრი, ამაზე იყო აგებული მონოპოლიები ჩვეულებრივ ეკონომიურ პირობებში. საერთაშორისო ომიანობამ ბევრი რამ შესცვალა, ძირიანად შეატრიალა ჩვენი შეხედულებანი, ძირიანათ შეარყია ის, რაც შეურყევლად და საანბანო ჭეშმარიტებათ იყო ქცეული

ომიანობამ შეარყია ეკონომიური მდგომარეობა მთელი კაცობრიობისა. დიდი ცვლილება მოახდინა განსაკუთრებით იქ, სადაც არ იყო მძლავრი ეკონომიური მდგომარეობა. რასაკვირველია, უდიდეს გაჭირვებას განიცდიან პატარა ერები, ერები, რომლებიც ყოველთვის განიცდიდენ ეკონომიურ მონობას და დამოკიდებულებას. უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდა რევოლიუციის დროს შექმნილი სახელმწიფოები; ამ სახელმწიფოების მდგომარეობა იმაში არის, რომ მათ არა აქვთ მჭიდრო ეკონომიური ნიადაგი და, რა თქმა უნდა, ისინი გახდებიან სათამაშოთ იმათ ხელში, ვისაც ეკონომიური ძალა აქვს. ჩვენი რესპუბლიკის არსებობა დამოკიდებულია ეკონომიურ კეთილდღეობაზედ. ეკონომიურათ ძლიერი—პოლიტიკურათაც ძლიერია, ეს ჭეშმარიტება სასტიკად დაამტკიცა საერთაშორისო ომიანობამ.

ეკონომიური ძლიერება მოითხოვს ხანგძლივ შემოქმედებით შრომას და მუშაობას, საჭიროა ამისათვის დრო. ამ გარდამავალ და ძლიერი გაჭირვების ხანაში თავი უნდა დავირჩინოთ, რათა შიმშილობამ და სიტიტვლემ ხალხისამ არ გამოიწვიოს აჯანყება, ხალხის რყევა. ჩვენ მრეწველობა არა გვაქვს, მრეწველობის შექმნას უნდა დიდი დრო, ასე რომ ჩვენი ეკონომიური მოთხოვნილებანი დამოკიდებულნი არიან იმათაგან, ვისაც განვითარებული მრეწველობა აქვს. მხოლოდ არც ჩვენ ვართ უსუსურ მდგომარეობაში. მთელ ევროპაში დიდი მოთხოვნილება არის ნედლი მასალისა. ეს მასალა ჩვენში მოიპოვება. ევროპის წარმოებას სჭირია ნედლი მასალა, ვინაიდან ჩვენ მოგვეპოვება მასალა, ჩვენ შეგვიძლია პირობები დაუდოთ ვისაც ეს ნედლი მასალა უნდა. ერთად ერთი განძი ჯერ ჯერობით არის ნედლი მასალა, რომელიც ისე უნდა გამოვიყენოთ, რომ ხალხმა მის მაგიერათ მიიღოს საჭირო საქონელი. აი აქ არის ხლართი ჩვენი და ევროპის დამოკიდებულებისა, ამ დამოკიდებულების სარგებლობას ვერ გადავცემთ კერძო პირს; კერძო პირს ამოძრავებს პირადი ბედნიერება, და არა ხალხის. პირადი ბედნიერება აგებული ცარცვა გლეჯვაზე და რასაკვირველია, სახელმწიფო ვერ გადასცემს თავის სიმდიდრეს კერძო პირს.

მონოპოლიებს დიდი მტერი ყავს. ეს არის თავისუფალი ვაჭრობის წარმომადგენელნი. მონოპოლია და თავისუფალი ვაჭრობის შეერთება შეუძლებელია. არ გამოუდგებით მათ მოსაზრებებს მონოპოლიის წინააღმდეგ. ამ მოსაზრებებმა მოსჭამა თავისი დრო.

მონოპოლიის წინააღმდეგ ამხედრებულია კოოპერაციაც. კოოპერაცია—საზოგადოებრივი დაწესებულებაა, დემოკრატიული მოძრაობის წარმონაშობი. კოოპერაცია, წარმომადგენელი მშრომელთა ლტოლვილებისა წინააღმდეგობას უწევს სახელმწიფო მონოპოლიას. ამ საკითხს ჩაფიქრება სჭირია. აქ რაღაც გაუგებრობაა.

მეტი რომ არ ვთქვათ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მონოპოლიებს ეწინააღმდეგება კოოპერაცია, დემოკრატიული ორგანიზაცია. ეს შეუძლებელია. სახელმწიფო მონოპოლიას აქვს აზრათ ხალხის ინტერესები. მონოპოლიის შემწეობით სახელმწიფო იძენს საქონელს მცირე ფასებში და მთელ მოგებას უბრუნებს ხალხს საქონლის სახით. ვეკითხები მოწინააღმდეგეთ, ნუ თუ ხალხს ჩაგრავს მონოპოლია? სრულებითაც არა. იგი ჩაგრავს ჩარჩებს, სპეკულიანტებს, იმათ, ვინც ხალხის ამაგზე თავის ბედნიერებას აშენებს. სახელმწიფომ შემოიღო აბრეშუმის პარკის მონოპოლია. ვის ჩამოერთვა პარკი. არა მწარმოებელ გლეხს, არამედ სპეკულიანტებს, ჩარჩებს. პარკი უცბათ გადადის ამ ჩარჩების ხელში. გლეხ მწარმოებელს არა აქვს საშუალება უცადოს კარგ ფასებს, იმას არც არავინ აცდევინებს, ჩარჩები გამოსტაცებენ. სადაური ხალხის დაჩაგვრა არის. სოხუმის ოლქის საწყობებში რომ თამბაქო არის, ეს თამბაქო მწარმოებელს ეკუთვნის? მწარმოებელს არაფერი არა აქვს. მონოპოლია სპობს ჩარჩობას, იგი უახლოვებს სახელმწიფოს მწარმოებელს. კოოპერაცია, როგორც უახლოესი მოკავშირე ხალხისა, ვერ ამხედრდება მონოპოლიის წინააღმდეგ, ვინაიდან სახელმწიფო მონოპოლია აცილებს ხალხს წურბელას, მათ მოგებას უბრუნებს იმავე ხალხს სხვადასხვა საქონლის სახით. მონოპოლია საშიში არის მხოლოდ სპეკულიაციებისათვის და არა მშრომელისათვის. ხალხს არ ესმის მონოპოლიის დედა აზრი. სპეკულიანტები ატყუებენ ხალხს, ყალბ წარმოდგენას აწვდის მას მონოპოლიების შესახებ. კოოპერაციამ უნდა გაუწიოს ამაგი სახელმწიფოს და დაეხმაროს მას. ამის მაგივრად წინააღმდეგობას ვხედავთ. როდესაც კოოპერატორები იბრძვიან მონოპოლიის წინააღმდეგ, მოჰყავთ იგივე მოსაზრება, რაც კერძო პირებს. ეს მოსაზრება ეხება იმას, რომ მთავრობის მიერ განწესებული ფასები არის ძლიერ ნაკლები და ვერ აკმაყოფილებს მწარმოებელს. დროა შევიგნოთ, რომ ქაღალდის ფული ჩენჩათ იქცა. თუ ნედლი მასალა გაძვირდა, გაძვირდება ნაწარმოებიც, მაშასადამე გაძვირდება ცხოვრებაც. თუ მთავრობა არ ამტკიცებს ისეთ ფასებს, რომელსაც აძლევს კერძო პირი, ეს იმით აიხსნება, რომ აქ სულ სხვადასხვაობა არის ინტერესებისა. კერძო პირი მეტს აძლევს, რათა დაანგრიოს მთავრობის საქმე, აქ უსინდისო ქიშპობაა. კერძო პირი თავის მოგებას ეწაფება, სახელმწიფო კი—ხალხის ბედიღბალზე ზრუნავს. როდესაც კოოპერაცია აყენებს საკითხს მონოპოლიის წინააღმდეგ მას ავიწყდება ერთი რამ: კოოპერაცია ემსახურება ხალხის ნაწილს, ხალხი ერთიანად არ შედის კოოპერაციაში. სახელმწიფო კი მონოპოლიას გამოცხადებით ხელში იღებს მთელი ხალხის სიმდიდრეს და მთელ ხალხს უბრუნებს მას სულ სხვა სახით. მაშასადამე სახელმწიფოს, როგორც მთელის წარმომადგენელს, უნდა დაემორჩილოს კოოპერაცია, როგორც ხალხის ნაწილის წარმომადგენელი.

სახელმწიფო მონოპოლია არ ეწინააღმდეგება დემოკრატიულ სახელმწიფოში კოოპერაციის მისწრაფებას, არამედ კოოპერაციის და სახელმწიფო მონოპოლიის დედა აზრი ერთიანდება: მშრომელის ჩარჩებისაგან განთავისუფლება, მისი ნაშრომის ანაზღაურება, ცხოვრების გაადვილება, ეს არის დედა აზრი კოოპერაციისა და სახელმწიფო მონოპოლიისა და ეს აზრი უნდა ჩააგონოს კოოპერაციამ ხალხს, ვინაიდან იგი ხალხთან ახლო სდგას. კოოპერაციამ არ უნდა დაუპირდაპიროს სახელმწიფოს თავისი თავი. თუ ეს მოხდა, მაშინ კოოპერაცია აამხედრებს ხალხს სახელმწიფოს წინააღმდეგ. როდესაც კოოპერატორები ამბობენ, რომ მონოპოლია მტკიცე ფასებით საზარალოა ხალხისთვისო, მაშინ იგი ადგია იმ გზას, რომელზედაც დგანან კერძო პირები. ეს არის უბედურება, რომ კოოპერაციაში შედის კომერციული ელვა, იტაცებს მას და კოოპერაციული მცნებანი ილახება.

კოოპერაცია და სახელმწიფო მონოპოლია დემოკრატიულ რესპუბლიკაში ერთსა და იმავე საქმეს ემსახურებიან—ხალხის სიღარიბისა და გასაჭირისაგან ხსნას და კოოპერაცია, როგორც დემოკრატიული ძალა, უნდა დაეხმაროს სახელმწიფოს, და არა წინაღუდგეს მას.

პროფ. ხ. აგალიანი.

უკანასკნელი ცნობები

გენ. ჰარბორდის წერილი აზერბეიჯანის მთავრობის თავმჯდომარისადმი.

აზერბეიჯანის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ბ. უსუბბეკოვმა მიიღო წერილი გენ. ჰარბორდისაგან. მოგვყავს ადგილები: „ვსარგებლობ შემთხვევით გადაგიხადოთ მადლობა იმ სტუმართმოყვარეობისათვის, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ ჩვენი ბაქოში ყოფნის დროს. როგორც მე, ისე ჩემი მისიის ოფიცრებს თან გაგვყვება ის აზრი, რომ თქვენ ქვეყანას აქვს უნარი მართოს თავისი თავი და თქვენი ქვეყნის პროგრესი არ შეფერხდება თქვენ მეზობლებთან გაუგებრობის გამო, რაც გამოიწვევდა დიდი სახელმწიფოების უკმაყოფილებას.

გადაეცით თქვენ კოლეგებს ჩემი გულითადი მადლობა გენ. ჰარბორდი“.

(„ს. ზ.“)

მთიელთა აჯანყების გარშემო.

ბაქოს დენიკინელების გაზეთ „გოლოს როსსია“-ში შემდეგი ცნობაა მოთავსებული მთიელთა აჯანყების შესახებ: „15 ოქტომბერს დაიწყო წინსვლა შურასთან აჯანყებულ მთიელების წინააღმდეგ. ენერგიულ იერიშით მოწინააღმდეგეს წავართვით დაპყრობილი პოზიციები და აულები: მისლიმ-აული, კაზანიშჩე, ბუგლენი, ვერხნე-კაზანიშჩე, ნ.-კაზანიშჩე, ჯენგაუტი. აჯანყებულები იხევენ ყიზლიარის და არაქსის მაღლობებისაკენ. წინსვლის დროს ჩვენ ხელთ ვიგდეთ ერთი ზარბაზანი, დიდძალი ტყვია-წამალი და სხვ. ბრძოლას ხელმძღვანელობდა გენ. რუდნევი. დაღესტნის ჯარის არტილერიის უფროსმა პოლკ. ერმოლოვმა დაინახა რა, რომ მთიელები იხევდენ, ათი ცხენოსანით გამოეკიდა მათ და აჩეხა 50 აჯანყებულებამდე. ყველა აულები პურ-მარილით ხვდებიან ჩვენ ჯარებს. რკინის გზა პეტროვსკიდან შურამდე გაწმენდილია. ჯავშნიანი მატარებელი „კავკაზეცი“, თანახმად განკარგულებისა, ჩვენი ჯარების წინსვლის დროს ეხმარებოდა პოლკ. რუტკოვსკის რაზმს. დაღესტნის ჯარების შტაბის უფროსი პოლკოვნიკი დოროფეევი“.

დამფუძნებელი კრება

21 ოქტომბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

გრ. ნათაძის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტისა მუშა-მოსამსახურეთათვის პირველ საჭიროების საგნების მისაწოდებლათ მთავრობის განკარგულებაში 50 მილ. მანეთის გადადებისა.

დეკრეტი საგარეო საქმეთა მინისტრის განკარგულებაში ამერიკაში და ყუბანის ოლქში გასაგზავნ დელეგაციების ხარჯისათვის სამი მილიონი მანეთის გადადებისა.

მომხსენებელი ქ. ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ წარმოდგენილ დეკრეტს აქვს ორი მხარე: ერთი პრინციპიალური —თუ რამდენათ სასურველია ყუბანის ოლქში და ამერიკაში დელეგაციის გაგზავნა და მეორე—ფინანსიური—თუ რამდენი ხარჯის გაღება შეიძლება. კომისიამ განიხილა ეს დეკრეტი და სავსებით მოიწონა, გაგზავნა აუცილებელია შემდეგი მოსაზრებებით: ყოველ სახელმწიფოს ყავს თავისი წარმომადგენელი სხვა სახელმწიფოებში. თუმცა საქართველოს საერთაშორისო ცნობა არ მიუღია, მაგრამ ის 1 ნახევარი წელია, რაც დამოუკიდებლათ არსებობს. საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა მოითხოვს, რომ მას ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი ყუბანში და ამერიკაში, რომ რაიმე ურთიერთობა გვქონდეს ამ სახელმწიფოებთან. ყუბანში და ამერიკაში ჩვენ დიდი ინტერესი გვაქვს. ყუბანში დიდი ადგილი აქვს საქართველოს წინააღმდეგ აგიტაციას, ამიტომ საჭიროა იქ იყოს ჩვენი წარმომადგენელი, რომელიც შეებრძოლება ყალბ ცნობებს ჩვენს შესახებ და პოლიტიკურ ეკონომიურ საკითხებსაც მოაგვარებს. უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ამერიკაში დელეგაციის გაგზავნას ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობისათვის. ჩვენ პარიზში გვყავს დელეგაცია, მაგრამ დელეგაციის ყოლა მარ-

დღეს

ირლანდიის ნაციონალისტების ფარულ თათბირზე დე-ვალერი ირლანდიის პრეზიდენტად აირჩიეს.

საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ მოისმინა კანონ პროექტი ომის განმავლობაში ჩადენილ დანაშაულთა ამნისტიის შესახებ; კანონ-პროექტი რამოდენიმე ცვლილებით მიღებულ იქნა.

სპარსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო უარყოფს ცნობას თეირანის მთავრობის წინააღმდეგ სპარსეთის ადერბეიჯანის აჯანყების შესახებ, რომელიც ვითომ ინგლის სპარსეთის ხელშეკრულებამ გამოიწვია.

კოლჩაკის ბრბოები უკან დახევისას ყანებს სწვავდა ჩელიაბინსკიდან დაწყებული პეტროპავლოვსკამდე; დაიღუპა ციმბირის 200 მილიონი ფუთი ხორბალი.

კოლჩაკის ბანაკი ყველა დაწესებულებებით ირკუტსკში გადავიდა.

დონის როსტოვში გაფიცვები იზრდება.

პოლონელებმა ბელორუსეთი დაიპყრეს.

ოდესას მოხალისეთა სარდლობამ 45 მილიონი მანეთის კონტრიბუცია დაადო.

ვილნოსა და პინსკის გუბერნიებში გლეხთა აჯანყებებია.

ფრანგული პრესის ცნობით იუდენიჩის ჯარი ლუგას მიუახლოვდა.

ტულის მიმართულებით მოხალისეთა ჯარმა აიღო ქ. ნოვოსილი.

მოგილევის მიმართულებით მოხალისეთა ჯარმა აიღო ქ. ტულჩინი.

წითელი ჯარი ვორონეჟის განაპირა უბნებს მიუახლოვდა.

ტო არ კმარა ჩვენს შესახებ აზრი მუშავდება თითეულ სახელმწიფოში ცალცალკე და შემდეგ ამ აზრის მიხედვით გადასწყვეტს ჩვენს საკითხს პარიზის კონფერენცია. ამიტომ აუცილებლათ საჭიროა ჩვენი დელეგაციის მუშაობა ამერიკაშიაც, თუ სხვა ვერაფერი შესძლო სწორ ინფორმაციას მაინც აწარმოებს. ამ მოსაზრებებს სავსებით იზიარებს საგარეო საქმეთა კომისია და გთხოვთ ეს დეკრეტი მიღებულ იქნას.

ივ. გობეჩია. ჩვენი ფინანსიური მდგომარეობა კატასტროფიულია. ეკონომიური კრიზისი მწვავდება. ასეთ პირობებში ჩვენს ფრაქციას ყოვლად დაუშვებლად მიაჩნია რეაქციონურ ყუბანში დელეგაციის გაგზავნა და ამისთვის ხარჯების გაღება. რაც შეეხება ინფორმაციას, ამის საწარმოებლათ სხვა საშუალებას უნდა მივმართოთ. პოლიტიკური მისიის საშუალებათ შეუძლებელია ყუბანის რეაქციასთან ბრძოლა. ამას საქართველოს დემოკრატიამ უნდა ებრძოლოს იმ საშუალებებით, რომელიც მას გააჩნია.

საგარეო საქმეთა მინისტრი **ევგენი გეგეჭკორი.** ისე საკითხის დასმა, როგორც ეს პატივცემულმა დეპუტატმა გობეჩიამ ინება, ჩემის აზრით ყოვლად შეუძლებელია. მან განაცხადა თქვენს წინაშე, რომ ყუბანში იბრძვის რეაქცია, ეს რეაქცია მიმართულია ჩვენს წინააღმდეგ, მაშასადამე, საქართველომ უნდა აირჩიოს არა ის გზა, რომლითაც ის მიდის—პოლიტიკური მისიის გაგზავნა,—არამედ გზა პირდაპირი ბრძოლისა. ეს არ არის სახელმწიფოებრივი მოსაზრება? ჯერ ერთი ფაქტიური შესწორება უნდა ავღნიშნო: ყუბანის ყაზახობა სრულიად არ არის საქართველოს მიმართ მტრულად განწყობილი. (გობეჩია ადგილიდან: მომხსენებელმა რა სთქვა?) მომხსენებლის აზრი მე ასე გავიგე: ყუბანი საქართველოს მოსაზღვრეა, ამიტომ საჭიროა მასთან კარგი ურთიერთობის დამყარება. მეორეთ პოლიტიკური მისიის წარგზავნა ამა თუ იმ სახელმწიფოში არ უნდა განისაზღვრებოდეს იმით, რომ იქ რევოლიუცია თუ რეაქცია. ყოვლად შეუძლებელია სახელმწიფოსთვის და სახელმწიფო მოღვაწისათვის იხელმძღვანელოს სიმპატიით, თუ ანტიპატიით სხვა სახელმწიფოს მიმართ. თუ ვინმეს აქვს საქმე გრძნობაზე დამყარებულ პოლიტიკასთან. ეს უვარგისი და მიუღებელი პოლიტიკა გახლავთ. ჩვენ გვაქვს ერთი ობიექტიური საზომი, რომლის მიხედვით უნდა გადავდგათ ესა თუ ის ნაბიჯი, როდესაც ეს ნაბიჯი შეესაბამება ჩვენს ინტერესებს. თუ თქვენ ამ საზომს იხმართ, ამ საზომით მიუდგებით (საკითხს, მაშინ მე თქვენ გარწმუნებთ, რომ თქვენ წარმოდგენილი დეკრეტის წინააღმდეგ ვერც ერთ მოსაზრებას, არგუმენტს ვერ მოიყვანთ და შეუძლებელიც არის. ყუბანის ყაზახობა ჩვენი მეზობელი ხალხია და ჩვენს ურთიერთ დამოკიდებულებაში არ ყოფილა ისეთი ფაქტი, რომელიც ამტკიცებდეს, რომ ყუბანის ყაზახობის მასაში არის რაიმე მტრული განწყობილება საქართველოს მიმართ. მე ერთ ერთ ჩემს მოხსენებაში ეს გარემოება ავღნიშნე, რომ მოხალისეთა სარდლობამ გაგრის ფრონტზე გამოგზავნა ყუბანის ყაზახთა რაზმის ნაწილი, მაშინ ყუბანის მთავრობამ დააყენა საკითხი, დასაშვებია თუ არა, რომ საქართველოს წინააღმდეგ გაიგზავნოს ყაზახთა რაზმის ნაწილიო და კიდევაც მოხსნილ იქნა გაგრის ფრონტზე ის ნაწილი. ეს მოწმობს იმას, რომ ყუბანის მთავრობა და ყაზახობა არ ყოფილა მტრულად განწყობილი საქართველოს წინააღმდეგ. მე ვფიქრობ, რომ მხოლოდ სახელმწიფოებრივი მოსაზრება, სახელმწიფოს ინტერესები გვიკარნახებს აღნიშნულ სახელმწიფოებში დელეგაციის გაგზავნას. ამ რიგათ სიმპატია—ანტიპატია და გრძნობებზე კი არ უნდა დაემყაროს სახელმწიფო მოღვაწე, არამედ მან უნდა იხელმძღვანელოს ობიექტიური საზომით. ასეთია ჩვენი შეხედულება ამ საკითხზე. ყველა, ვინც მიუდგომლათ და ობიექტიურათ შეხედავს ამ საკითხს ის დამეთანხმება. მთავრობას არა აქვს უფლება ერთი წუთითაც დაჰგვიანოს ამ ქვეყნებში დელეგაციის გაგზავნა. ამიტომ მე მოვითხოვ, რომ ეს დეკრეტი მიღებულ იქნას.

მომხსენებლის სიტყვის შემდეგ დეკრეტი მიღებულ იქნა.

დეკრეტი ფოთლოვან თამბაქოზე მონოპოლიის გამოცხადებისა.

მომხსენებელი ი. ჭავჭანიძე ამტკიცებს ფოთლოვან თამბაქოზე მონოპოლიის გამოცხადების საჭიროებას სახელმწიფოს ინტერესებისათვის.

თ. ღლონტი მონოპოლიის გამოცხადება დაგვიანებულად მიაჩნია, მისი აზრით მონოპოლიის სისტემა უნდა გავრცელდეს ყველა სავალიუტო საქონელზე. ორატორი აღნიშნავს, რომ ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს გარკვეული სამოქმედო გეგმა არა აქვს და მის მუშაობას შემთხვევითი ხასიათი აქვსო.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხ. **ხიმ. ავალიანი** აღნიშნავს, რომ მონოპოლიის სისტემის შემოღების გარშემო დიდი განგაშია ატეხილიო. ის ამტკიცებს, რომ ეს მონოპოლია საჭიროა მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის. მონოპოლია ემსახურება სახელმწიფოს ინტერესებს. აქ გვიკიჟინეს უგეგმობა, უსისტემობა, ეს გაუგებრობაზეა აშენებული. ჩვენ გეგმაც გვაქვს და სისტემაც, ჩვენი პროგრამაა მონოპოლიის სისტემა, მაგრამ ამას ჩვენ ვანხორციელებთ თანდათან. დაჩქარებით განხორციელებას ხელს უშლის საერთაშორისო პირობები. რას გიკვირთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური კრიზისი, როცა ინგლისშიაც არ არის კარგათ საქმე; ინგლისში ლოიდ ჯორჯმა განაცხადა: „ინგლისის ეკონომიური მდგომარეობა კატასტროფას განიცდისო“. ამ რიგათ ჩვენ ერთბაშათ არ შეგვიძლია გაუმჯობესება ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის. ჩვენ ნელ-ნელა ვაუმჯობესებთ მას და ამის საშუალებათ მონოპოლიის სისტემა მიგვაჩნია.

ალექს. ახათიანიც იწუნებს მთავრობის ეკონომიურ პოლიტიკას, ეს უკიჟინებს ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს გარკვეული გეგმის, სისტემის უქონლობას და ამბობს, რომ ასეთი უსისტემობა ანარქიას შექმნის ეკონომიურ ცხოვრებაშიო. კერძოთ დეკრეტის შესახებ ამბობს რომ მეთამბაქოებს უნდა მიეცეთ იმდენი, რამდენიც მათ ღირთ ნაყიდი თამბაქო. უკეთესი იქნებოდა მრეწველობისათვის, რომ თვითონ მეთამბაქოები გაიტანდნენ საზღვარ გარეთ თამბაქოს.

ი. ელიგულაშვილი აღნიშნავს, რომ ექსპორტის მონოპოლია არ არის ხშირი საგარეო ვაჭრობის პოლიტიკაში, ის ცხადდება განსაკუთრებულ პირობებში. ასეთ განსაკუთრებულ პირობებში ვიმყოფებით ჩვენ და ამ ტომ უნდა მივიღოთ ეს მონოპოლიაო.

შემდეგ ის ვრცლად ეხება ვალიუტის საკითხს, ჩვენს ეკონომიურ მდგომარეობას და ამბობს, რომ ჩვენ მონოპოლიის სისტემას უნდა დავადგეთ და ნელ-ნელა გავაუმჯობესოთ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობაო. ის მხარს უჭერს წარმოდგენილ დეკრეტს.

მომხსენებლის დასაბუთებული სიტყვის შემდეგ დეკრეტი მიღებულ იქნა.

ივ. ჭავჭანიძე მოახსენებს კრებას კანონ-პროექტს სახელმწიფო კონტროლიორის შტატის შეცვლის შესახებ.

ლ. შენგელაია სარგებლობს ამ გარემოებით და სასტიკათ ილაშქრებს სახელმწიფო კონტროლის წინააღმდეგ. ბოროტ-მოქმედებები ხდება სხვადასხვა დაწესებულებებში და კონტროლის მრისხანე ხმა არ ისმის ამის შესახებო.

სახელმწიფო კონტროლიორი **ფ. გოგიჩაიშვილი** ამტკიცებს, რომ კანონმდებლობით იმის მსგავსი არაფერი მოეთხოვება სახელმწ. კონტროლს, რასაც მისგან ლ. შენგელაია მოითხოვს. კანონის ძალით კონტროლს სრულებით არ მოეთხოვება ყოველ კონკრეტიულ შემთხვევაში აი ამ ტრიბუნიდან გამოვიდეს და ილაპარაკოს იმაზე, თუ სად რამდენი რამ მოიპარეს და ვინ იქნა მიცემული პასუხისგებაში. სახელმწიფო კონტროლიორის მოვალეობაა დაწვრილებითი ანგარიში მისცეს საკანონმდებლო ორგანოს განსაზღრულ დროში. ეს დრო ჯერ არ დამდგარა. კერძო ბოროტმოქმედების შესახებ სახელმწიფო კონტროლიორი თავისი აპარატის საშუალებით ადგენს ოქმებს და სადანაშაულო უწყებას წინადადებას აძლევს ბოროტმოქმედნი სამართალში იქნან მიცემულნი. ვერც შენგელაია და ვერც სხვა ვინმე ერთ მაგალითსაც ვერ მოიყვანს იმის შესახებ, რომ ფული გაცემული ყოფილიყოს კანონის წინააღმდეგ. ყველა კანონ პროექტებს და დეკრეტებს, რომელთაც თქვენ გირდგენენ ხოლმე, აქვს სახელმწიფო კონტროლის დასკვნა.

ერთხელ და სამუდამოთ მინდა განვაცხადო, რომ ის, რასაც კონტროლისგან მოითხოვს შენგელაია, კონტროლის მოვალეობაში არ შედის და ეს უნდა იცოდეს დამფუძნებელ კრების წევრმა. ჩვენ ჩვენს მოქმედებაში სავსებით ვეყრდნობით იმ კანონებს, რომელიც დამფუძნებელ კრებამ მოგვცა და მის თანახმად ვასრულებთ ჩვენს მოვალეობას.

სიგვიანის გამო ეს საკითხი შემდეგი სხდომისათვის გადაიდო.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

22 ოქტომბერი.

მოხალისეთა ჯარის სამხედრო ცნობა.

სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარ სარდლის შტაბის ოფიციალური ცნობა. 6 ოქტ. (ძვ. სტ.)

ტაგანროგი. ასტრახანის მიმართ. საზღვაო რაზმებიდან შავი ზღვის მიმართ. ცნობები არ მოსულა. კამიშინის მიმართულებით ბრძოლის შემდეგ კავკასიის არმიის ნაწილებმა მტერი მთელ ფრონტზე უკან დახიეს და პიჩუჟინსკაია-პრუდკი-შიროკოვ კაჩალინსკაიას ხაზზე გამოვიდნენ. დიდი დახმარება გაუწია ჩვენს ჯარს ბრძოლის დროს ჯავშნიანმა მატარებელმა „სტეპნოი“ მ, რომელმაც ბრძოლის დროს რამდენიმე ორთქლმავალი შეიცვალა, წამოვიყვანეთ 3000 მეტი ტყვე და მრავალი ტყვიის მფრქვეველები ჩავიგდეთ ხელში. ილოვლის რაიონი: მედვედიცასა და ილოვლის შორის დონის ნაწილები სოფ. უანსვის და ნაზიროვის აღმოსავლეთით იბრძვის. ამ ბრძოლაში დაიჭრა გმირი პოლკოვნიკი გოლუბინცევი. მედიცასა და ხოპერის შუა სად. გლაზუნოვსკაიას დასავლეთით დონის ნაწილებმა წითლების პოლკი დაამარცხეს და 400 ტყვე წამოიყვანეს: ხელში ჩაიგდეს 10 ტყვიისმფრქვეველი. ზემო დონის რაიონი: სოპერსა და დონის შუა ჩვენი შეტევა კარგად ვითარდება. მტერი კრასნოპოლიე ვასილევკა კოზლოვის ხაზს იქით გავდევნეთ და ჩვენი ნაწილები სად. ტალოვაიდან 20 ვერსზე იმყოფება. ვორონეჟის რაიონი: აღმოსავლეთით ბრძოლა გრძელდება. მტრის შემოტევას ვიგერიებთ და მტერს ზარალით უკან ვახევინებთ. ტამბოვის და ელეცის მიმართ. არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ბრიანსკის მიმართ. კრომის და დმიტრიევკას რაიონში მტერი ცდილობს ჩვენი შეტევა შეაჩეროს. ბრძოლა გრძელდება. გომელის მიმართ. გამარჯვება ხან ჩვენ მხარეზეა და ხან მტრის მხარეზე. კიევის რაიონი: ბრძოლის შემდეგ მტერი კიევის დასავლეთით გავდევნეთ და ვორონეჟის გზატკეცილისკენ იხევს. მოგილევის მიმართ: გაისინთან მტერი დავამარცხეთ და ჩვენი ჯარის იძულებით ისინი ბუგუსკენ იხევენ. სადგ. ბუბრუისკთან რკინის გზის ხიდი ჩვენ დავიჭირეთ. ოდესის რაიონში სიწყნარეა.

ტაგანროგი. ოქტ. 7. (ძვ. სტ.) ასტრახანის მიმართ. მდგომარეობა არ შეცვლილა. კამიშინის მიმართ. კავკასიის არმიამ მტრის მე-28 დივიზია დაამარცხა და მდ. პესკოვატაზე გიდარეკა. ხელში ჩავიგდეთ ტყვიისმფრქვეველები და მრავალი ტყვე წამოვიყვანეთ. ზემო დონის რაიონი. მედვედიცას და ხოპერის შორის არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ტალოვაიას და ბობროვის მიმართ ჩვენი შეტევა ვითარდება.

ლისკის აღმოსავლეთით დონის ნაწილებმა მტერი მდ. იკორეცისკენ განდევნა ვორონეჟის რაიონი. აღმოსავლეთით ბრძოლა გრძელდება. ტულის მიმართულება: ჩვენმა ნაწილებმა მტერი ნოვოსილიდან განდევნეს. ორიოლის რაიონში ჩვენ კრომის და მცენსკის მხრიდან შემოტეულ მტრის ჯარს ვებრძვით. ბრიანსკის მიმართულებით დმიტრიევსკზე და სევსკზე მტრის იერიშებს ვიგერიებთ. კიევის და მოგილევის მიმართულებით ახალი ცნობები არ მოსულა.

ტაგანროგი. ოქტ. 8. ასტრახანის მიმართულება: მდგომარეობა არ შეცვლილა. კამიშინის მიმართულებით: დუბოვკის აღების დროს ჩვენმა ჯარმა დიდი გმირობა გამოიჩინა. აქ მტრის საუკეთესო ძალები დავამარცხეთ. ჩვენ 400 ტყვე წამოვიყვანეთ და მრავალი ზარბაზანი ჩავიგდეთ ხელში. ზემო დონის რაიონი: ხოპერის აღმოსავლეთით არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ნოვოხოპერის და ტალოვაიას მიმართულებით ჩვენი შეტევა ვითარდება. ჩვენმა ჯარმა სად. ტალოვაია და ხრენოვოს შუა რკინის გზა გადასჭრა. ვორონეჟის რაიონი: აღმოსავლეთით ბრძოლა გრძელდება. ელეცის და ნოვოსილის მიმართულებით ორიოლის რაიონში ბრძოლა გრძელდება. ბრიანსკის მიმართულებით: დმიტრიევკასა და სევსკის რაიონში ბრძოლა გრძელდება. დიმიტრიევკას ჩრდილოეთით პოლკ. ტურკულის ჯარმა წითლები დაამარცხა. წამოვიყვანეთ ტყვეები მტრის მე 63 და 65 საბჭოთა პოლკიდან, ხელში ჩავიგდეთ 2 ზარბაზანი და სხვა ქონება. კიევის რაიონი: გომელის მიმართულებით: ჩერნიგოვის ჩრდილოეთით ბრძოლაა. კოროსტენის და ჟიტომირის რაიონში ჩვენი ჯარი ბრძოლით მდ. ირპენზე გადავიდა. მოგილევის მიმართულებით ჩვენი ჯარი გაისინის რაიონიდან შეტევას განაგრძობს, დავიჭირეთ ტულჩინი, ხელში ჩავიგდეთ ზარბაზნები და ტყვეები წამოვიყვანეთ. პეტლიურას რაზმის შტაბი გაიქცა.

ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი. კოპენჰაგენი, ოქტომბ. 10. ფრანგული პრესა რუსეთს ყველაზე სანუკვარ და სასარგებლო ბაზრად თვლის მომავალში, როდესაც ისევ შესაძლებელი გახდება იქ ბუნებრივ სიმდიდრის დამუშავება. პრესა ხლავე აღნიშნავს მეტოქეობას ხალხთა შორის ამ ბაზრის ექსპლოატაციისთვის. ბაიკალის იქით იაპონელები მუშაობენ და ამერიკის მეტოქეობა მათ ხელს უშლის ციმბირში მთელი ვაჭრობა მრეწველობა ხელში ჩაიგდოს. კავკასიასა და სამხრეთ რუსეთში ინგლისი თავის ექსპერტებს გზავნის ნავთისა და ქვანახშირისთვის. ნოვოროსიის ნავთსადგურში იტალიამ 3 ნახევ. მილიონის საქონელი გაგზავნა და იქ თავისი ბანკის განყოფილებები გახსნა. ინგლისმა ხელში ჩაიგდო ვაჭრობა ბალტიის სახელმწიფოებში და მეტოქეობას უწევს სხვა ხალხებს ფინეთის ბაზარზე. საფრანგეთი სცდილობს განაახლოს ფრანგულ და რიგის ფირმების შორის წინად არსებული ურთიერთობა.

სარატოვი. ოქტ. 15. აღმოსავლ. ფრონტიდან ჩამოსული ამხანაგები გადმოგვცემენ, რომ კოლჩაკის ბრბოები უკან დახევისას გლეხების მომავალი ყანებს სწვავდა ჩელიაბინსკიდან დაწყებული პეტროპავლოვსკამდე. დაიღუპა ციმბირის 200 მილიონი ფუთი ხორბალი. ამხანაგების სიტყვით, ციმბირში მაინც დარჩა იმდენი პური, რომ მთელ საბჭოთა რესპუბლიკას ეყოფა.

სარატოვი. ოქტ. 15. თეთრგვარდიელთა გაზეთების ცნობით, დონის როსტოვში გაფიცვები იზრდება. რამდენიმე ქარხანა კიდევ დადგა; დონზე ნაოსნობა სრულიად შეწყდა. ქალაქში მასიური ჩხრეკა-დაპატიმრებაა: ეძებენ კომუნისტურ ლიტერატურას. კომუნისტებისადმი თანაგრძნობის გამოთქმისთვის დააპატიმრეს მენშევიკების ლიდერები. შემოიღეს ცენზურა. გაზეთები თეთრი ადგილებით გამოდის. კომუნისტების აგიტაციამ ფართე ხასიათი მიიღო. ქუჩებში კედლებზე გაკრულია მოწოდებები დენიკინის ჩამოგდების შესახებ. მთელი „ოხრანკა“—ფეხზეა დამდგარი.

რეველი. ოქტ. 10. პოლონელების მიერ ბელორუსიის დაპყრობის დღიდან ბელორუსიაში ვაჭრობა სრულიად ჩაკვდა. გაზეთების, პლაკატების და ბროშიურების ბეჭდვა რუსულ ბელორუსულ, გერმანულ და ებრაულ ენებზე აღკრძალულია. აგრეთვე აღკრძალულია ამ ენების ხმარება დაწესებულებებში. სამსახურში არ იღებენ რუსებს, ბელორუსებს და ებრაელებს. გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ ის პირნი, ვინც მონაწილეობას იღებდენ პოლონურ აგიტაციაში. უკანასკნელ ხანს ფიქრობენ თავის პოლიტიკის გამოცვლაზე და სცდილობენ შეუთანხმდეს ბელორუსთა ეროვნულ ორგანიზაციებს, ამას ხელს უწყობს ახალგაზრდა ბელორუსების წვრილი შეიარაღებულ რაზმების გამოსვლა და გლეხთა ხშირი აჯანყება.

ნაუენი, ოქტომბრის 20. საარის ოლქსა და მის ახლო მახლო ადგილებში ორშაბათს დილიდან საყოველთაო გაფიცვებს მოელიან. ლორენში უკვე დაიწყო ნაწილობრივი გაფიცვები საფრანგეთის სამხედრო მმართველობის ძალადობის წინააღმდეგ.

ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს და ჩრდილოეთით 7 ვერსზე სოფლები დაიჭირა. ხელში ჩავიგდეთ ტყვიისმფრქვეველები და სხვა ქონება. წამოვიყვანეთ ტყვეები. დმიტრიევკის რაიონში ბრძოლა ჩვენს სასარგებლოთ მიდის. ნოვოსილის და ელეცის რაიონში ბრძოლა ჩვენს სასარგებლოდ არის და ხან მტრის სასარგებლოდ. ვორონეჟის რაიონში გმირმა წითელმა ცხენოსანმა ჯარმა ამხ. ბუდიონოვის ხელმძღვანელობით მამანტოვის 12 პოლკისაგან შემდგარი მთავარი ძალა დაამარცხა. მტრის ქვეითი ჯარი სრულიად განადგურდა. ჩვენ ხელში ჩავიგდეთ 2 ჯავშნიანი მატარებელი, 4 ზარბაზანი. 50 ტყვიისმფრქვეველი და სხ. სამხედრო ქონება. ჩვენმა გამარჯვებულმა ცხენოსნებმა შეუჩერებლად მისდიეს მტერს და ვორონეჟის განაპირა უბნებს მიუახლოვდა. ბოგუჩარის მიმართ. ჩვენ შეტევაზე გადავედით. დასავლეთით და სამხრეთით მტერი შევავიწროვეთ. უსტ მედვედიცის რაიონში წითელი ჯარის წინსვლა გრძელდება. ცარიცინის მიმართ. ვოლგაზე ბრძოლა ადგილობრივი მნიშვნელობისაა ორენბურგის რაიონში ილეცკის დასავლეთით 30 ვერ. მტრის შეტევა მოვიგერიეთ, ჩვენი ჯარი კონტრ იერიშზე გადავიდა, ტყვეები წამოიყვანა და ხელში ჩაიგდო ათი ტყვიისმფრქვეველი. გურიევის ჩრდილო-აღმოსავლეთით 250 ვერსზე ჩვენ ტყვეები წამოვიყვანეთ და ხელში ჩავიგდეთ 3 ტყვიის მფრქვეველი. კურგანის რაიონში ზვერინგოლოვის ტრაქტზე წითელი ჯარი წინსვლას განაგრძობს. წამოვიყვანეთ 100 ტყვეზე მეტი და ხელში ჩავიგდეთ 5 ტყვიის მფრქვეველი. პეტროპავლოვსკის რკინის გზის ჩრდილოეთით ჩვენი შეტევა გრძელდება. წამოვიყვანეთ ტყვეები. იალუტოროვის რაიონში ჩვენ მდ. კოპტიულს მივაღწიეთ, წამოვიყვანეთ 300 ტყვე და ხელში ჩავიგდეთ 7 ტყვიის მფრქვეველი. ჩერნიგოვზე ჩვენი შეტევა ვითარდება. ჩვენი ნაწილი მდ. ოკაზე გადავიდა და შეტევას განაგრძობს. ელეცის ორივე მხარეზე ლივნაზე ჩვენი შეტევა კარგად ვითარდება. ირლანდიის ნაციონალისტების ფარულ თათბირზე, რომლებიც ინგლისის მთავრობის წინააღმდეგ მოქმედებდნენ, დე ვალერი აირჩიეს ირლანდიის რესპუბლიკის პრეზიდენტად.

მთელ საბჭოთა რუსეთში მოეწყობა წითელ არმიელთა და სამეურნეო დახმარების ულუფის კვირა.

ოდესას თეთრგვარდიელთა სარდლობამ 45 მილიონ მან. კონტრიბუცია დაადო. კურსკში დენიკინმა საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა 18—45 წ. წ. მობილიზაცია უშედეგოა. კონტრიბუციის სახით გლეხებმა 10 ფუთი ხორბალი უნდა გადაიხადონ დესეტინაზე. მოზირისკენ პოლონელთა ჯარში დიდი რღვევაა. მე 22 და 34 პოლკებმა უბრძოლველად ზურგი დასტოვეს და იარაღი დაყარეს. ვილნოს და პინსკის გუბერნიაში გლეხები აჯანყდნენ

კოლჩაკის ბანაკი ყველა დაწესებულებებით ირკუტსკში გადავიდა.

ხარკოვში პირველ საჭიროების ყველა საგნები არა ჩვეულებრივად ძვირდება.

ფრანგული პრესის ცნობები

სამხედრო სამინისტრომ გუშინ ცნობა მიიღო, რომ იუდენიჩის არმიამ წინ წაიწია და ლუგიდან რამდენიმე ვერსზეა.

სპარსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო უარჰყოფს ცნობას თეირანის მთავრობის წინააღმდეგ სპარსეთის ადერბეიჯანის აჯანყების შესახებ, რომელიც ვითომ ინგლის სპარსეთის ხელშეკრულებამ გამოიწვია.

ახალი ამბები

მოსკოვში ამას წინად დაპატიმრებული საქართველოს საელჩო და თვით ელჩი გ. ხუნდაძე ჩვენ მიერ მიღებულ ცნობებით უკვე გაუნთავისუფლებიათ.

◆ **ბელგიის უსახელო საზოგადოებამ** შუამდგომლობა აღძრა საფრანგეთის მისიის საშუალებით თფილისის ქალაქის თვითმართველობის წინაშე, რათა თფილისის ქალაქის ტრამვაის საქმის გამოძიება, რომელიც ამ მოკლე ხანში უნდა მოხდეს, გადადებულ იქმნას, ვინაიდან საზოგადოებას ხელთ არ აქვს საჭირო საბუთები. ქალაქის გამგეობამ შეუძლებლათ სცნო ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილება, რადგანაც ამ მოკლე ხანში უნდა მოხდეს ტრამვაის კაპიტალური რემონტი და გამორკვეულ უნდა იქნეს, თუ ვის ეკუთვნის ტრამვაი.

◆ **ქალაქის გამგეობაში.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ყველა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, როგორიც არის მოლარის, საწყობის გამგის და სხვა, მოიწვიონ მოსამსახურეები პასუხისმგებელ მოხელეთა არტელიდან. ამის შესახებ ქალაქის გამგეობა აწარმოებს მოლაპარაკებას არტელთან.

◆ **კაპელას კონცერტი.** პარასკევს, 24 ოქტომბერს, სახალხო უნივერსიტეტში (მუშათა კლუბში) გაიმართება ქართ. სამუსიკო საზ. და საქ. კოოპ კავშირის კაპელას კონცერტი.

◆ **სახალხო უნივერსიტეტში.** დღეს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებებში დანიშნულია შემდეგი მორიგი ლექციები: 1 განყოფ. (ნაძალადევი) ექ. ღურიაშვილი—„გიგიენა“, ც. კოტეტიშვილი „სოციოლოგია„. ორთაჭალის განყოფილებაში ლექციები არ შესდგება.

◆ **სახელოსნო ლტოლვილთა თავშესაფართან.** სომხეთა საქველმოქმედო საზოგადოებამ დაადგინა ახალციხის ლტოლვილთა თავშესაფართან გახსნას სახელოსნო, [illegible] ლტოლვილებს [illegible] წავლიან [illegible] ქალ[illegible] ნას [illegible].

◆ **ჯამაგირები ტრამვაის ბუღალტერებს.** ტრამვაის ბუღალტრებმა შუამდგომლობა აღძრეს ქალაქის გამგეობის წინაშე, რათა მათ გაუთანასწორონ ჯამაგირები ქალაქის თვითმართველობის სხვა ბუღალტრებთან. ქალაქის გამგეობამ შესაძლებლათ სცნო მათი შუამდგომლობის დაკმაყოფილება.

◆ **დატუსაღება.** 21 ოქტომბერს ღამით სისხლის სამართლის მილიციის წევრებმა დაატუსაღეს ვინტოვკით შეიარაღებული ყაჩაღი ა. სარკისიანი, რომელსაც ბრალი ედება გოლოვინის ქუჩაზე მცხოვრებ ამბრამოვიჩის გაძარცვაში.

◆ **ცხვრის წელების გატანა კავკასიიდან.** ამერიკის გენერალური საკონსულო აცხადებს, რომ ამერიკიდან რამოდენიმე მსხვილი ფირმა შეეკითხა საკონსულოს, შეიძლება, თუ არა კავკასიიდან ცხვრის წელების დიდი პარტიის გატანა.

კრებები.

დღეს, ნაშუადღევის 1 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის მე 8 აუდიტორიაში დანიშნულია სამკურნალო ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტთა კრება.

— დღეს, საღ. 6 ს. შესდგება მუშათა კლუბების საბჭოს კრება.

— დღეს, საღ. 6 საათზე შესდგება ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის ჩვეულებრივი სხდომა.

— დღეს, საღამოს 6 საათზე, ბიუროს ბინაზე დანიშნულია მე-6 რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა.

— დღის, საღამოს 6 საათზე, ბიუროს ბინაზე, შესდგება ს. დ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის წევრთა მორიგი კრება. პრეზიდიუმის წევრები უნდა გამოცხადდნენ 5 საათზე.

მონა—ქალი

„ყური მიგდე ჩემო ძმავ, გითხრა სიტყვა მართალი, მრუდე არის ეს ჩვენგან შექმნილი სამართალი“.

დიახ, მრუდე არის ჩემო ძმავ, მრუდე ეს სამართალი ჩვენდამი და დროა მისი შეგნება, შეგნება ორივეს მხრივ, რომ უსამართლობას არ ექნეს ადგილი და მით არ ილახებოდეს ადამიანის თავმოყვარეობა, შეგნება!

ჩავიხედოთ ამ ცნების სიღრმეში და ჩვენ ამოვიკითხავთ შემდეგს: შეგნება, ეს უდიდესი საუნჯეა გონებისა, ცოდნით, დაკვირვებით და გამოცდილებით შექმნილი, რასაც თვითეული ჩვენთაგანი საჭიროებს კერძო და საზოგადო ცხოვრებისათვის. „მონა—ქალის“ დამწერი სთხოვს თავის ძმებს ყურადღებას და ეუბნება: „მრუდე არის ეს ჩვენგან შექმნილი სამართალიო“ ო. ამ სიტყვებში იხატება ის ტენდენცია, ის დამოკიდებულება და შეხედულება, რომელსაც წინეთაც ჰქონდა ადგილი და ახლაც აქვს, მაგრამ მომავალში არ უნ და ექნეს. ჩემო დებო! პოეტი ამბობს „ვეძებთ თავისუფლებას, გვინდა ჰეშმარიტება, მაგრამ სადაც ჩვენა ვართ, იქ ქალი გვავიწყდება“-ო „ჩვენი ჩრდილით დამჭკნარი, ცრემლებით დანამული, მათ არა აქვთ უფლება“-ო და სხვა. ჰო, როგორ მეზარება ის წარსული, როდესაც ჩვენ ასეთი უბადრუკნი, ასეთი უსინათლო, უმწეო და უმეცარი ვყოფილვართ და შეიძლება ეხლაც ვიყოთ. ვითომ? არა, არ მჯერა. ეს შეურაცყოფაა ხომ? მაგრამ რას იზამ, ეს რომ იყოს ასე, სიმართლეს თვალს ვერ აუხვევ.

მერე რა იყო? ქალი მონა, უუფლებო და დაჩრდილული, რომელიც ყველას ავიწყდებოდა. ამ სიტყვების წაკითხვით, მე, ორი ერთი-მეორის მოწინააღმდეგე გრძნობა განვიცადე: პირველი გრძნობა მახარებდა, რომ ქალის მდგომარეობა შეუგნიათ ჩემს ძმებს და მეორე კი მტანჯავდა, რომ ასეთი უმწეო, ასეთი მონა ვყოფილვართ. ჩემს მიზანს არ შეადგენს კრიტიკა პოეტის ნაწარმოებისა. არა, მე მხოლოდ მსურს ჩემს დებს გავუზიარო ჩემი ფიქრი, რომელიც გამოწვეულია იმათი მდგომარეობით, ვისთანაც მსურს საუბარი. დებო! გადავავლოთ გონების თვალით წარსულის ისტორია და შევჩერდეთ განსაკუთრებით ჩვენ სოციალურ მდგომარეობაზე და წარმოვიდგინოთ ყოველივე ის, თუ რა იყო ჩვენი ჩამორჩენის მიზეზი. თუ ბუნებამ არაფერი არ დაიშურა და ერთნაირად წარმოშვა, შექმნა ადამიანი ორივე სქესისა და ხელი შეუწყო მის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას, სამაგიეროთ თვით ადამიანებში, თვით საზოგადოებრივ ურთიერთობის წიაღში წარმოიშვა ისეთი შეურაცხი... ისეთი უხეში, დესპოტი, ეგოისტი და ბოროტი დამოკიდებულება, რომლის შედეგათ გაჩნდა უუფლებობა, დაჩაგვრა და დაჩრდილვა ადამიანისა.

მაგრამ ხომ ხედავთ შეგნებას რა შესძლებია? შეიგნო უუფლებომ და ჩაგრულმა თავისუფლება, მოიშორა მან ბორკილები და გაარღვია და დალეწა

ქართულ ლატარიის გამგეობა
ამით აცხადებს
საზოგადოების საყურადღებოდ, რომ
ლატარიის
გათამაშება მოხდება
2 ნოემბერს
სახელმწიფო თეატრში
ბილეთი ღირს—25 მან., კუპონი—5 მან. პირველი მოგება 100,000 მან. მეორე მოგება 50,000 მან. გამგეობის კანტორა ღიაა დილის 9—2 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. მისამართი: დამფუძნებელი კრების ქუჩა (ყოფილი სასახლის ქ.) № 5, ტელეფონი 7—61. (ნ. 2—2)

ის რკინის ზღუდეები, რომელნიც მას ლფეხს უბორკავდნენ, გასწმინდა, გაასუფთავა და გაანათა მან ყველასათვის ერთო შრომის ბინა და შექმნა თავიფლი სამეფო, სადაც ყველას, ყვეს შეეძლება შესვლა, სადაც ჩვენს ცოცხლე და სიყვარული და სადაც უწოდებენ მხოლოდ შეგნებულებს.

მერე ჩვენ ვართ შეგნებული? ამ კითხვაზე დაფიქრდით და ისე მიპასუხეთ. შეგნებაა განა ის, რომ მეცნიერების ტაძარში შეხვედი და იქ იმიტომ იარო მხოლოდ, იმ მოსაზრებით, რომ დრო არო, საქმროს არჩევაზე იფიქრო და დეგ იმისთვის, რომ ვინმეს მოეწონო, რამდენიმე საათები დაკარგო თმის დახვეულებაში, ფერ უმარილის ცხებაში და ფრჩხილების გავარდისფერებაში?

შეგნებაა განა ის, რომ დამოუკიდებლობა, თავისუფლება და ცხოვრების მეგობარი თუ ამხანაგი დასთმო და ცვალო იმას, რომ შრომას გაექცე მდიდარზე გაყოლით უზრუნველყო ნი თავი?

შეგნებაა განა ის, რომ რამოდენიმე შვილების დედა იყო და შენს შვილებს რკილს ეძახდე და უსაყვედუროდ ნებას მათ გაზრნან? რომელი ერთ—ორი ასეთ შეგნებაზე ვსთქვა, მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ ასეთი მოვლენებს ჩვენ დაუკვირდებით და თუ ის იყო და არის, მომავალში მაინც ავს რასმეს ადგილი არ ექნება. თვითეულ ჩვენთაგანს ძლიერი სურვილი და სწრაფება აქვს წინსვლისა, განვითარებისა და დამოუკიდებლობისა, რაც დათ სასიხარულოა, მაგრამ ამავე დროს უნდა ვიცოდეთ და შეგნება გვქონდეს ყოველივე ჩვენი მოქმედებისა. ჩვენ კრიტიკის თვალით უნდა უყუროთ და ანალიზი უკეთოთ ყოველივე მოძრაობას, სიტყვას, ნაბიჯს და მოქმედებას, რომ შეგვეძლოს საჭიროების დაგვარად ცოდნის გამოყენება ცხოვრებაში. ცხოვრებაში ყოველი დარგი ტიოსანი შრომისა საინტერესოა და მზიდველი და რა დარგშიც არ მოგვხდეს მუშაობა სულ ერთია, ოღონდ შრომის გაწევა შეგნებულად ხდებოდეს.

ბევრნი ფიქრობენ,—თითქოს ჩვენ სერიოზული და ლოგიური აზროვნების უნარი არ გვქონდეს, მაგრამ ეს მართალი არ არის. თუ დღეს გვაკლია აზროვნების შარავანდედი, ამას აქვს თავისი მიზეზები, და ეს მიზეზები უნდა შევიგნოთ, გავითვალისწინოთ, ჩამოვიშოროთ და წინ გავსწიოთ თანასწორობისაკენ!

კმარა მონობა, კმარა ამდენი დაცინვის ატანა, კმარა ჩვენი კარჩაკეტილობა! შენ, შენ შეგნებავ, შენ უნდა მოგვასპოიო უსამართლობა, შეარიგო და შეაერთო მოწინააღმდეგენი ერთმანეთისადმი მეგობრული და ამხანაგური ლის გასაწვდენად, რომ ორივემ ერთი მეორის თვალში ამოიკითხონ თუ როგორ ასრულებდნენ ცხოვრების კანონებს. მაშინ, შენ, მე გეტყვი ჩემო ძმავ: „მინახავს მე ქალი, სიცოცხლისა ვილი, მადლით გაბრწყინებული, სათხის ბაღნარითა სოფლად მოვლინებული, და მიფიქრია ის არის, ვინც გვკვებავს, სულითა დაცემის წუთებში მოსავს სიხარულითა. მინახავს მშრომელი ტანჯვით ჩონჩხად ქცეული, სნეულ მისა წინაშე რომ იდგა ვით ეული აკვანსა უძილო, ვით მანქანა არვდა შეკვნესოდა „დედილოს“ და ემლებსა აფრქვევდა. მინახავს ის იერი, რომ შვილისთვის ზრუნავდა, ლით სალამომდისინ ცაბრუტივით უნავდა და, ვინც ცხოვრების ბრჭყალებში სანთელივით დნებოდა მომავლისთვის იღწვოდა, ქვეყნისთვის კვდებოდა“. ეხლა მე გეკითხები ჩემო ძმავ! გრძვნიათ თქვენ მერე ის, რასაც ის ნიცდიდა? მოგიხრიათ თქვენ ქედი ვით ის იხრიდა და მცირედ მოხდიათ მასთან თქვენი ვალი? მაგრამ თ შესწუხდებით... იგი მონა-ქალია!!!

თავისუფალი ქალი.

მთავრობაში

— მოხსენება, სამხედრო მინისტრისა რისათვის პურის და ფურაჟის დასამზადებლათ 15,000,000 მან. გადადების სახებ, გადაეცეს დასკვნისათვის სახელმწიფო კანტროლიორს და ფინანსთა მინისტრს.

— გადაიდოს სამხედრო მინისტრის განკარგულებაში 500,000 მან.—ახალციხის, ახალქალაქის, სოჭის და სხვა ფრონტებზე დაზარალებულ მოსამსახურეთათვის დახმარების აღმოსაჩენათ.

— თანახმად ფინანსთა მინისტრის მოხსენებისა, დადგენილ იქნა შემდეგი: 1) მომარაგების მთავარი სამმართველო, როგორც დამოუკიდებელი დაწესებულება, გაუქმებულ იქნას; 2) გაუქმებულ იქნას მომარაგების მთავარი საბჭო; 3) მომარაგების სამმართველო უერთდება ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს და შეადგენს რესპუბლიკის ახალ მომარაგების დეპარტამენტს, რომელიც ექვემდებარება ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როდესაც ვაჭრობა-მრეწველობის და მომარაგების დეპარტამენტთა შორის პრინციპიალურ უთანხმოებას ექნება ადგილი, საკითხი, ვაჭრობა და მრეწველობის მინისტრის ნებართვით, წარედგინება მთავრობას გადასაწყვეტათ.

4) ყოველგვარი დაწესებულება, რომელიც მომარაგების საქმეს განაგებს (როგორც სასურსათო საბჭო, მომარაგების კომიტეტი) გაუქმებულ იქნას და მათი ვალდებულება გადავიდეს მომარაგების დეპარტამენტში. 5) დაევალოს ფინანსთა მინისტრს შემდეგი სხდომისთვის წარმოადგინოს მთავრობის წესი №-4 მუხლში აღნიშნულ დაწესებულებათა ლიკვიდაციისა.

— გადაიდოს სამხედრო მინისტრის განკარგულებაში 8,600,000 მან. სამხედრო ბინებით უზრუნველსაყოფად.

— ყოფილ სამხედრო გიმნაზიის დაბალ მოსამსახურეთათვის სალიკვიდაციო ჯილდოს მისაცემათ გადაიდოს სამხედრო მინისტრის განკარგულებაში 8,506 მან. და 27 კაპ.

ერობების ცხოვრება

თანახმათ ერობათა კავშირის მთავარ კომიტეტის დადგენილებისა, ამა წლის 16 ოქტომბერს, ყველა ერობებს დაეგზავნა საანკეტო ფურცელი მაზრის ერობების და თემების უფლებრივ მდგომარეობაზე.

ანკეტა შეიცავს შემდეგ კითხვებს:

1) რა საფუძველზე ააგეთ თემები? თუ საფუძვლათ დაუდეთ არსებული საზოგადოებანი, რა მოსაზრებით? თუ არა, რატომ დაინახეთ უფრო მიზანშეწონილათ რამოდენიმე საზოგადოების გაერთიანება?

2) როგორ მდგომარეობაში რჩება სოფელი და არსებობს რაიმე შემაკავშირებელი თემის და სოფლის შორის? (რით შესცვალეთ წინანდელი ოცის თავები, გზირები, კეთილი, სინდისიერები გადასახადის ამკრებნი, „სბორშიკები“ და სხვა). რა დამოკიდებულებაა სოფლის კრებას („სხოდს“) და თემის შორის?

3) რა ტიპის ორგანიზაცია მიგაჩნიათ უფრო მიზან-შეწონილათ სოფლისთვის?

4) როგორი წესით ხელმძღვანელობდით თემების არჩევნების დროს და რამდენი ამომრჩეველი მოუდიოდა ერთს ხმოსანს?

5) რა უფლებებით გსურთ აღჭურვოთ თემი? მართვა გამგეობის საკითხები, მილიციის მიღება დათხოვა, სკოლის გამგებლობა და სხვა საერობო დაწესებულებით ხელმძღვანელობა, ნატურალური ბეგარის დაწესება და საერთოთ რა უფლების იძულებითი აპარატს სცნობთ საჭიროთ მოაკუთვნოთ თემებს?

6) რა საბიუჯეტო უფლებებს სცნობთ შესაძლებლათ თემს მიენიჭოს? (თვით დაბეგვრისა, სპეციალური დაბეგვრისა და სამაზრო ერობის და სახელმწიფო გადასახადზე განსაზღვრული პროც.-ის დადებისა და რაოდენობა ამ პროცენტებისა).

7) რა ფორმებით გაქვთ თქვენ წარმოდგენილი ერობების მოქმედებაზე კანტროლი? (ვინ უნდა განახორციელოს ეს კანტროლი ადმინისტრაციის ინსპექტორმა, თუ მაზრის ერობის საადმინისტრაციო განყოფილებამ? ეს კანტროლი იქნება მხოლოდ მოქმედების კანონიერობაზე, თუ მიზანშეწონილობაზ და(ც?)

8) რა აზრის ხართ თქვენ ახალ ქალაქებზე? შესაძლებელია თუ არა მათი მაზრის ერობების უფლებით აღჭურვა როგორც მაგ. თფილისი), რამოდენიმეთ ქუთაისი, ფოთი და სოხუმი, თუ ისინი მოექცეს მაზრის ერობის ფარგლებში თემის უფლებებით?

9) იყო თუ არა მაზრის თემების წარმომადგენლების ყრილობანი თქვენს მაზრაში? თუ იყო, რა დადგენილებები გამოიტანეს მათ?

10) რამდენათ მისაღებათ მიგაჩნიათ თქვენ რეფერენდუმის უფლების მინიჭება, როგორც ეს დასავლეთ ევროპაშია, როგორც მაზრის ერობისათვის, ისე თემისათვის? (რეფერენდუმი გამოიხატება ამა თუ იმ დადგენილების გამოტანაში არა მარტო ამა თუ იმ ყრილობების მიერ, არამედ საყოველთაო კენჭის ყრითაც და მის სავალდებულო ხასიათი კანონიერების თვალსაზრისით).

— ერობათა კავშირმა შეუკვეთა ქალაქთა კავშირს 1 მილიონი რვეული ყველა. ერობების სკოლებისათვის დიდ ძალი მოთხოვნილებები რვეულზე ყველა ერობებისაგან მოუდის ერობათა კავშირს. რვეული იქნება 12 გვერდიანი და ეღირება დახლოვებით ორ მანეთამდის.

— ერობათა კავშირი შეუთანხმდა ქალაქთა კავშირს, რათა უკანასკნელმა დაამზადოს ერობებისთვის საჭირო საკანცელარიო და სასკოლო ავეჯეულობა თავის საკუთარ მექანიკურ სახელოსნოში. ერობათა კავშირის მთავარი კომიტეტმა დაუგზავნა ყველა ერობებს მიმართვა, რათა მათ აცნონ რაოდენობა ავეჯეულობისა, რომელიც დასჭირდება მაზრის ერობას თავის კანცელარიისათვის, თემების კანცელარიისათვის და ყველა საერობო დაწესებულებისათვის მაზრაში.

— ერობათა კავშირის მთავარ კომიტეტის თაოსნობით ეწყობა სტატისტიკური კურსები. ამის შესახებ იყო რამდენიმე თათბირი ცენტრალური კომიტეტის და თფილისის ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, სადაც გადაწყდა კურსების გახსნა 15 ნოემბერს. ლექტორებათ მოწვეულნი არიან შემდეგი პირები: ნოე გ. ხომერიკი, პრივ. დ—ც. ს. ს. კონი, პრივ. დ—ც. გეხტმანი, აგრონომი ს. ნ. ტიმოფეევი, მ. ნ. მანდელშტამი (ლიადოვი), გონჩაროვი, გ. მ. ბენაშვილი, მ. სმირნოვი და გრიგორიანი, კურსები თვიურია. მიღებულია 8 ოქტომბრის სხდომაზე შემდეგი პროგრამა:

1) სტატისტიკის საერთო კურსი (მეთოდოლოგია სტატისტიკისა და მოსახლეობის სტატისტიკა 30 საათი. 2) შეფასების საქმე (პრაქტიკული მეცადინეობა)—20 საათი, 3) ერობის მეურნეობის სტატისტიკა ერობის მოღვაწეობის ფინანსიურ სტატისტიკურ აღრიცხვასთან დაკავშირებით, 4) მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკა (პრაქტ. მეცადინეობა) 10 საათი, 5) მოწყობა ძირითადი საკომლო აღწერისა 10 საათი, 6) მიწის რეფორმა ერობის მოღვაწეობასთან დაკავშირებით, 7) ამიერ კავკასიის ეკონომიური გეოგრაფიის მცირე კურსი (კერძოთ საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია), 8) მოკლე ცნობანი აგრონომიის დარგიდან სტატისტიკასთან დაკავშირებით, 9) თვითმართველობათა ისტორია და პრაქტიკა რუსეთში და დასავლეთში.

რუსეთში

შეთქმულობა დენიკინის წინააღმდეგ.

ქალ. როსტოვში 7 ოქტომბერს შემდეგი ბრძანება გამოიცა გარნიზონისადმი: „პირველი სამხედრო-საველე სასამართლოს განაჩენით, რომელიც მოხდა 20 სექტემბერს, ვასილიევი ბ., შკურენკო ვას., ივანოვი ფიდო, კარპენკო ვას., ნეჩაევ ალექ., რომლებიც ითვლებოდნენ ანარქისტ-სინდიკალისტების პარტიაში და სხვა პირებთან ერთად (სახელდობრ ლეონოვ და სუვოროვთან, რომელნიც შეპყრობის დროს იქნენ მოკლულნი) განიზრახეს ტერორისტულ აქტის მოხდენა და დენიკინის და ბოგევსკის მოკვლა. დამნაშავენი 2 აგვისტოს გაემგზავრენ ხარკოვიდან, მაგრამ გზაში შეპყრობილ იქნენ და მათი ბოროტი განზრახვა დამტკიცებულ იქნა მთელი რიგი მოწმების ჩვენებით—დამნაშავეთ სიკვდილი მისაჯათ, აღნიშნული განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი.

უცხოეთი

გარანტიების საკითხი

გაზეთ „ტან“ ეხება რა გერმანიის მდგომარეობას, აღნიშნავს, რომ გერმანია მსოფლიო ომიდან მართალია დამარცხებული გამოვიდა, მაგრამ იგი შეკავშირებული და გაერთიანებული არისო. გაზეთი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ საჭიროა შეიქმნეს გარანტია იმის წინააღმდეგ, რომ შეკავშირებულმა გერმანიამ არ შექმნას ძლიერი სამხედრო ძალა, რომელიც ხიფათს მოუმზადებს ევროპას. გერმანიის საფრთხის თავიდან ასაცილებლად არ კმარა დასავლეთ ფრონტების გამაგრება, საჭიროა აღმოსავლეთსაც მიექცეს ყურადღება. გერმანია შეეცდება თავის ტერიტორიის გაფართოვებას აღმოსავლეთში. ორი პოლიტიკა არის შესაძლებელი. პირველი მდგომარეობს რუსეთის აღდგენაში დასავლეთ სახელმწიფოების დახმარებით, მეორე მდგომარეობს პოლონეთის და მისი მოკავშირის რუმინიის გამაგრებაში. რა სისტემა ამოარჩიეს? რუსეთი არ არის აღდგენილი. პოლონეთს მიაღებინეს ხელშეკრულება ვისლის ნეიტრალიზაციის შესახებ. ასეთივე ხელშეკრულებას უმზადებენ რუმინიას. წერილის ავტორის აზრით გარანტიის საკითხი სადა და გასაგებია, მაგრამ მასთან მეტად ძნელი მოსაგვარებელია, რომელმაც თავიდან უნდა აგვაცდინოს გერმანიის საფრთხეო“.

ჰოლანდიის სოციალისტების გამარჯვება საქალაქო არჩევნებში.

„ტაიმსის“ კორესპოდენტის ცნობით, ჰოლანდიის ქალაქების არჩევნებში გაიმარჯვეს სოციალისტებმა. ამსტერდამში, როტერდამში და ჰააგაში ქალაქის თავებათ სოციალისტები აირჩიეს, რომელთაც განაცხადეს, რომ გაატარებენ სოციალისტების მუნიციპალურ პროგრამას.

გერმანიის დამოუკიდებლების ყრილობა.

სექტემბერში მოხდა დამოუკიდებელ სოციალისტების ყრილობა, რომელზედაც ხმის უმეტესობით გადასწყდა, რომ დამოუკიდებლებმა განაგრძონ თავიანთი მუშაობა პარლამენტში და პროფესიონალურ საბჭოებში.

ადერბეიჯანში

ტელეფონის ქსელის მოსამსახურეთა გაფიცვა.

კავშირების საბჭოს წარმომადგენლებმა ინახულეს შრომის მინისტრი და შემდეგი წინადადებით მიმართეს მას: განთავისუფლებულ უნდა იყვნენ ყველა დატუსაღებულნი, კავშირის გასაღებები დაუბრუნდებათ, მხოლოდ ამ პირობების შესრულების შემდეგ მოწვეულ იქნება მომრიგებელი კომისია, რომელიც განიხილავს წარდგენილ მოთხოვნილებებს. მინისტრი დასთანხმდა ამ წინადადებაზე და დაჰპირდა—გენერალ-გუბერნატორს მოველაპარაკები დატუსაღებულნი გაანთავისუფლოსო. მინისტრმა სთხოვა გენერალ გუბერნატორს დატუსაღებულების განთავისუფლება—უკანასკნელმა აღუთქვა ეს, მაგრამ აგერ ხუთი დღეა მას შემდეგ და დაჭერილი მუშები ჯერაც არ გაუნთავისუფლებიათ. („ის.“)

სომხების გამოსვლა.

შუშიდან „მუსავატის“ პარტიამ შემდეგი დეპეშა მიიღო. 23 ოქტომბერს, სოფ. კაეტის, კრისანკენდის და სხვა სომხები თავს დაესხნენ მუსულმანების სოფელ ერმას, აუტეხეს სროლა. მოჰკლეს ერთი და დასჭრეს რამდენიმე, გაიტაცეს 370 სული მსხვილფეხა საქონელი. 24 ოქტომბერს სომხები თავს დაესხნენ მუსულმანების სოფელ ფარტანს, გადასწვეს ფატალი ხანოვის სახლი. არიან მოკლულნი და დაჭრილნიც. დამსხმელები გაჰფანტა ბოქაულმა ნიაზოვმა („აზ.“).

ქალაქის საბჭოს ახალი არჩევნები

ქალაქის გამგეობის სტატისტიკური განყოფილება შეუდგა ქალაქის მომავალ არჩევნებისათვის მასალების დამუშავებას.

ლტოლვილების მოწყობა.

ლტოლვილთა მომწყობ ოლქის კომიტეტის ინსპექტორი გაემგზავრა ყუბანში დაღესტნელ ლტოლვილთა მდგომარეობის გამოსარკვევათ, რომელთაც ადერბეიჯანის საზღვრებზე მოუყრიათ თავი.

სრულიად საქ. მასწავლებელთა დელეგატების ყრილობა

აღმოსავლეთ საქართველოს სახალხო სკოლების მასწავლებელთა კავშირის დადგენილების თანახმად სრულიად საქართველოს ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლების მასწავლებელთა ორგანიზაციების დელეგატების პირველი ყრილობა გაიმართება ქ. თფილისში 1920 წ. 8 იანვარს და გაგრძელდება 5 დღეს.

ყრილობის უფლებიან წევრებათ ითვლებიან (გადამწყვეტის ხმით): 1) საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მასწავლებელთა ორგანიზაციების და ჯგუფების წარმომადგენლები 25 წევრზე—ერთი წარმომადგენელი, 2) საორგანიზაციო კომიტეტის ყველა წევრი და 3) საქართველოში არსებულ კულტურულ განმანათლებელი დაწესებულებათა წარმომადგენლნი თითოეულზე ერთი (კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა ისეთი ორგანიზაციები ითვლებიან, რომელნიც თავიანთ წესდებით მხოლოდ და მხოლოდ კულტურულ მიზნებს ისახავენ).

დელეგატები აღჭურვილნი უნდა იქმნენ სათანადო მანდატებით.

ორგანიზაციები ვალდებულნი არიან ერთი კვირით ადრე საორგანიზაციო კომიტეტს წარმოუგზავნონ არჩეულ დელეგატთა სია.

ყრილობის პროგრამა: 1. სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის დაარსება და კავშირის წესდების პროექტის განხილვა. 2. მოხსენებები ადგილებიდან. 3. კავშირის პერიოდული ორგანო. 4. მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობა. 5. მასწავლებლების სახლი. 6. მასწავლებლების მომზადება. 7. მოხსენებები: ა) ცენტრალური ბიბლიოთეკის შესახებ, ბ) წიგნების გამომცემლობის, გ) ცენტრალური მუზეუმის, დ) სამეცნიერო ექსკურსიების და სხვა. 8. კავშირის საბჭოს არჩევა.

მისამართი წ. კ. გ. საზოგადოების ბინა.

სარა მელიქიშვილსა

(მიხეილ მენაბდეს ასული)

„ერთობამ“ ოზურგეთიდან ფრიად სამწუხარო ამბავი გვაუწყა: ტრაგიკულათ გარდაცვლილა სარა მელიქიშვილისა, რომელსაც მწარეთ გლოვობენ (როგორც პარტიულ ამხანაგს, როგორც მასწავლებელს და საზოგადო მოღვაწეს) შემოქმედის სოც.-დემ. კოლექტივი, შემოქმედის უმაღ. პირ. დაწ. სასწავლებლის პედაგოგიური საბჭო და სოფელ წითელ მთა, განსვენებულ სარას ბაქოს დემოკრატია კარგათ იცნობს, რადგან დემოკრატიის უანგარო სამსახური ახალგაზრდა ქალმა აქ დაიწყო, რამოდენიმე წელიწადს ის აქ ემსახურა სახალხო თეატრს, მისი მეოხებით აქ სისტემატიურად იმართებოდა ქართული წარმოდგენები, აქაურ სცენაზე გაიცნო, დაუახლოვდა ის მისგურ დემოკრატს სოსო მელიქიშვილს და კიდეც გახდა მისი მეუღლე. ბაქოდან ცოლქმარი ხალხის სამსახურს განაგრძობენ ს ხულოს (ზემო აჭარაში), დარბეულ და დამშეულ აჭარლებს სარა ხანუმი არასოდეს არ დაავიწყდებათ. ბოლო წლებში სარა ქმართან ერთად მუყაითად მუშაობს ს. შემოქმედში, მუშაობს სკოლაში, პარტიაში და ამავე დროს ოჯახში, როგორც დედა. განსვენებული მხნე ქალი იყო, მუყაითი, რაც არ იცოდა სწავლობდა და თავის სწავლას სხვებს უზიარებდა. ჩვენ არ ვიცით, თუ რამ აიძულა ხელი აეღო თავის საყვარელ საქმეზე, ვიცით რომ ასეთი ქალის დაკარგვა ფრიად სამწუხაროა და მის ჭირისუფლების ცრემლებს, ჩვენს ცრემლებსაც ვუერთებთ («Искра«).

გურული.

სახელმწიფ. უნივერსიტეტში

19 ოქტომბერს, თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შესდგა ამავე უნივერსიტეტის სოც. დემ. სტუდენტ-მსმენელთა საზოგადო კრება. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. შ. იოსელიანი, მდივნათ არტ ჩაჩუა. დღიურ წესრიგში იყო განსახილველი შემდეგი საკითხები: 1. პარტიული ბიუროს მოხსენება წარსულ მუშაობის შესახებ; 2) სტუდ. კავშირის გამგეობის ფრაქციის მოხსენება, 3) მომავალი მუშაობა, 4) სტუდენტთა კოოპერატივი, 5) ახალ. გაზრდა მარქსისტთა ცენტ. კომ. წარმ. მოხსენება და 6) ხელმძღვანელ პარტიულ ბიუროს არჩევნები. სახელმწ. უნივ. ს. დ. სტუდენტთა ხელმძღვანელი ბიუროს სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. მ. კვატაშიძე. მომხსენებელი აღნიშნავს მიზანს, რომელიც დასახული ჰქონდა ბიუროს, მოაგონებს ამხანაგებს იმ პირობებს, რომელშიაც სტუდენტობას უხდებოდა მუშაობა და დაასკვნის, რომ რამდენადაც გარემოება ხელს უწყობდა, ბიურომ პირნათლად შეასრულა დაკისრებული მოვალეობა. კრებამ მოისმინა რა მოხსენება ბიუროს წარსულ მუშაობის შესახებ, კმაყოფილი რჩება და გადადის მორიგ კითხვაზე. სტუდენტთა კავშირის გამგეობის ფრაქციის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. გ. ხოფერია. მომხსენებელი აღნიშნავს გამგეობის ერთსულოვან მუშაობას და ამ მუშაობის ნაყოფს რაც გამოიხატება კერძოთ სასადილოს გახსნაში, უბინაო ღარიბ სტუდენტებისთვის უფასო ბინის შოვნაში, იაფფასიან ფეხსაცმელებისა და სხვა საჭირო საგნების მიწოდებაში და სხვა. აკადემიურ სფეროში გამგეობის თაოსნობით დაიბეჭდა და გამოიცა ზოგიერთი ლექციები და სხვა. და ბოლოს მომხსენებელი აღნიშნავს იმ არა სასურველ მოვლენას, რომელსაც ადგილი ჰქონდა სასადილოს გამგეობაში ამ ბოლო ხანებში და რომლის წინააღმდეგ უკვე მიღებულია სათანადო ზომები. მოისმინა რა მოხსენება ამხ. ხოფერიასი, კრება იღებს ამხ. სიგუას მიერ წარმოდგენილ შემდეგ რეზოლიუციას: „დაევალოს გამგეობის ჩვენს ფრაქციას: 1) ყოველივე ძალღონით შეებრძოლოს სასადილოში მომხდარ ბოროტებას, რათა ასეთებს მომავალში არ ექნეს ადგილი; 2) იზრუნონ სადილის გაიაფებაზე და გაუმჯობესებაზე“.

მომავალ მუშაობის გეგმის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ა. სიგუა, რომელსაც კრება უცვლელად ღებულობს. შემდეგ გ. ხოფერია აცნობს კრებას სტუდენტთა კოოპერატივ „სტუდენტის“ დაარსებას და მოუწოდებს ჩაეწერონ წევრათ. ახალგაზრდა მარქსისტთა სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. ე. თალაკვაძე. ის აღნიშნავს იმ მომავალ მუშაობის გეგმას, რომელიც დასახული აქვს ცეკას, ასახელებს უბნებს, სადაც არსებობს ახალგაზრდა მარქსისტთა წრეები, რომელთაც არ ყავს ხელმძღვანელები და მოუწოდებს სახელმწიფო უნივერსიტ. სტუდ. ხელმძღვანელ ბიუროს გამოყოს კადრი სტუდენტებისა, რომელნიც შესძლებენ ხელმძღვანელობა გაუწიონ ახალგაზრდათა ორგანიზაციებს, კრებამ დაადგინა მუშაობის მთელი სიმძიმის ცენტრი გადაიტანონ მუშაობა და ახალგაზრდათა ორგანიზაციებში. და ბოლოს მოხდა არჩევნები ბიუროს ახალი შემადგენლობისა, არჩეულნი იქნენ: შ. იოსელიანი, ა. სიგუა, ნ. იმნაიშვილი, ნ. ბალავაძე და კ. ჭავჭანიძე. კანდიდატებად: ზ. ელიავა, ვლ. ფირცხალავა და ს. მამფორია. კრება დაიშალა ღამის 10 ს.

ა. თ—ლი.

ფედერალისტების საქმიანობა

(გაგრძელება).

(ფოსტა ტელეგრაფის ცხოვრებიდან)

ასეთია ფაქტი და მას ჰქონდა ადგილი არა რევოლიუციის პირველ ხანებში და სადმე ბეჰუსების ქვეყანაში, არამედ საქართველოში და დამფუძნებელი კრების, მისი მთავრობის და ადმინისტრაციის გვერდით. ჩვენ მოვიყვანეთ ერთი რაიონის მაგალითი, ხოლო ასეთი რაიონები წინათ იყო ექვსი და ახლა კი უნდა იქნეს 14 და ამათ სათავეში—ცენტრალური გამგეობა. ამის შემდეგ, რაღა ზნეობრივი უფლება აქვს „მიუდგომელს“ ამტკიცოს, რომ ადმინისტრაციას არ უნდა მოეპყრო ასეთი დეპეშების გადაცემით. მაგრამ აბა რაღა მოეთხოვება ისეთ კაცს, რომელიც არა თუ ამას, მოსამსახურეებზე პურის მიწოდებასაც კი დანაშაულათ უთვლის ადმინისტრაციას და ყველ ფერში თავისი პარტიის დევნა ელანდება. იგი აცხადებს: მგელაძემ „აშკარათ დაუწყო ს.-ფედერალისტ მოსამსახურეებს დევნა, ცენტრალურ ტელეგრაფში გადააყენა საქმისთვის სასარგებლო ჩვენი ამხანაგები და მათ მაგიერ დააყენა ულირსი პირებიო“ და ჩამოთვლის: ერთი უვიცია, მეორემ შუმიანის „ზაპისკა“ გადასცა, მესამემ მხეცური მოქმედება ჩაიდინაო და ასე. ადმინისტრაციამ უფროსები შესცვალა, რადგან ისინი ამ თანამდებობაზე არ გამოდგენ და სამსახურის მოვალეობის პირნათლად ასრულების და ხელქვეითებიდან საქმის მოთხოვნის მაგიერ, ცდილობდენ მოსამსახურეთადმი რბილი მოპყრობით და მათი თავის ნებაზე გაშვებით ერთგვარი სიმპატია დაემსახურებინათ და თავიანთი პარტიისთვის იმათ რამე შეეძინათ; ისინი ერიდებოდნენ შენიშვნის მიცემას, ანთავისუფლებდენ მუშაობიდან, უმალავდენ უფროსს მოსამსახურეთა ყოველივე დანაშაულს მაშინაც კი, როცა ეს მას აუცილებლათ უნდა სცოდნოდა და მის მაგიერ, რომ უფროსის თანამშრომლობა გაეწიათ, ოპოზიციაში უდგებოდენ და ამით სრული უდისციპლინობა და ანარქია შექონდათ სამსახურში. ასეთმა მოქმედებამ დემორალიზაცია შეიტანა მოსამსახურეთა ერთ ნაწილში და უკმაყოფილება გამოიწვია საქმის და სახელმწიფოს ერთგულ მეორე ნაწილში. ასეთ უფროსების გადაყენებით განაწყენებული „მიუდგომელი“, რა თქმა უნდა ცდილობს ახალ უფროსების უვარგისობა დაამტკიცოს და თავისებური ჭორებით მათაც უმასპინძლდება, მაგრამ ერთი მაინც ცხადი არის, სახელდობ ის, რომ ახალი უფროსების ხელში მუშაობა საგრძნობლათ გაუმჯობესდა და თითქმის ნორმალურს უახლოვდება. შუმიანის „ზაპისკის“ გადამცემი მათში არავინ არის, რადგან ასეთი მხოლოდ თქვენი თანამებრძოლი ი. ჭელიძე ბრძანდება, რაც უკვე დამტკიცებულია და ცილისწამებით ვიღრაიცის გადაბრალებით. მეორე უფროსის ლ—ლის, „მხეცური მოქმედება“, რომელიც გამოიხატა სამსახურის გარეთ ბერძენიშვილზე სილის გარტყმაში, არის კერძო

საქმე და, ვინც იცნობს ღ—ლს და მის უღრეს ზრდილობიანობას, ყველანი ბ—ლ' ამტყუნებენ, რომელმაც შესძლო ამ უწყინარი კაცის მოთმინებიდან გამოყვანა.

„მიუდგომელს“ აღელვებს აგრეთვე ის გარემოება, რომ კ—რი უფროსის თანაშემწეთ დაინიშნა 6 წლის ნამსახური კაცი და არა რომელიმე „უფრო დამსახურებული“ პიროვნება. ფოსტა-ტელეგრაფის საქმე ისე რთული არ არის, რომ მისი შესწავლა არ შეიძლებოდეს 5 წლიწადში; ყოველი დაბალი განათლების და საშუალო ნიჭის მქონე კაცი მას მუდამ ითვისებდა 6 თვის განმავლობაში (ეს იყო სკოლის კურსი) და მაქსიმუმი ერთი წლის პრაქტიკა იყო საკმარისი, რომ ამოსდგომოდა გვერდში თუნდ ათი—ოცი წლის ნამსახურ მოხელეს. თუ ეს ასეა, ცხადია 6 წელიწადიც საკმარისათ ჩაითვლება ამ საქმის შესასწავლათ, ხოლო სხვა გვარი დამსახურება, ე. ი. ჩინები და ორდენები ჩვენში, მადლობა ღმერთს, საჭირო აღარ არის. საერთოთ ბ. ბ. ფედერალისტებს ნაციონალ-დემოკრატებივით დასჩემდათ თავიანთი თავის მცოდნე არსებათ წარმოდგენა და სხვების აბუჩათ აგდება, მაგრამ ამ მსჯელობის დროს უხვად ამჟღავნებენ თავიანთსავე უცოდინრობას. ამას წინათ „სახალხო“ მოწინავეში სწერდა მგელაძის არ ცოდნაზე და გამოყავდა, თითქო ოლქის უფროსობის ცოდნა ისეთი რამ იყოს, რომლის სპეციალისტებს სადმე ამზადებდნენ. ასე რომ ყოფილიყო, რუსეთის მთავრობა ვეტერინარებს და სამხედრო პირებს არ იყოლიებდა ამ თანამდებობაზე და ჩააბარებდა მხოლოთ „ინჟენერ—ოლქის უფროსებს.“

„მიუდგომელი“ ყველაფერში ფედერალისტების დევნას ხედავს. იგი ცნობს, რომ არიან მორზეს არმცოდნე მოხელეები, მაგრამ, თუ მათ გამოცდა დაუნიშნე ან ამ საქმის შესწავლა მოსთხოვე, ეს მაინც ფედერალისტების დევნა ჰგონია. „რატომ უნდა ეკუთნოდეს უპირატესობა იმ მოხელეს, რომელიც მორზეზე გვარიანათ დახელოვნდა, იმასთან შედარებით, ვისაც ეს აპარატი თვალით არ უნახავს“.—„ეს მეორეთაა ერთი წლის განმავლობაში, რაც ხელახლა სცდიან უკვე გამოცდილ მოხელეებსო“. თუ არიან მორზეს უცოდინარნი და სხვაგვარი სამუშაო მითთვის დღეს აღარ არსებობს, როგორ მოიქცეს ადმინისტრაცია: უსაქმურობაში აძლიოს მათ ხაზინის ფულები? მაგრამ ეს ვაჟბატონები ახლა მსჯელობენ ასე და წინად სულ სხვას ამბობდენ. იანვრის გამოცდებში თვით ღებულობდენ მონაწილეობას და ამტკიცებდენ კიდეც ამის საჭიროებას, მაშინ ისინი წინააღმდეგი იყვნენ, „რომ მუშაობა არ იყოს და მოსამსახურეები ტყუილა ისხდენ“, ამტკიცებდენ, რომ „ახალგაზრდა მოსამსახურეებმა ანბანი არ იციან (იხ. კონფერენციის № 7 ოქმიდ 6 დუმბაძის და ბერძენიშვილის სიტყვები). ოლქის ადმინისტრაციამ წარსულ იანვარში მოახდინა გამოცდა სხვა დარგებში ნამუშევარ და, მაშასადამე, მორზეს არ მცოდნე მოხელეების და მათ მისცა ორი თვის ვადა მოსამზადებლათ; ორი თვის მაგიერ, ექვსი თვის შემდეგ გამოსცადა და ამაზედ კი აყაყანდენ ჩვენი გმირები. მაშ, როგორ გზას ურჩევდენ ისინი ადმინისტრაციას? „სახალხო“ სწერდა „გადაჯგუფებაზე“, მაგრამ მას ეპატიება უცოდინარობა, ხოლო „მიუდგომელმა“ ხომ იცის, რომ ათასჯერაც რომ გადააჯინო ერთი აპარატიდან მეორეზე, ეს უცოდინარს არაფერს უშველის, ხოლო ფოსტებში და კანცელარიებში საკმაოზე მეტი ხალხი გვყავს? ეს ყველაფერი იციან მათ, მაგრამ უბრალო ინტრიგებს აწარმოებენ, აღელვებენ მოსამსახურეებს და ხელს უწყობენ უწყებაში არევ-დარევის შექმნას.

სხვა მრავალთაგან, ამის მაგალითია სიხარულიძის და ცანავას გამოცდის წინააღმდეგ წასვლაც, რაც გამოწვეული იყო დეპეშის დამახინჯებით. ბ-ნ „მიუდგომელს“ სურს ადმინისტრაციამ არავითარ ზომებს არ მიმართოს ამა თუ იმ არასასურველ მოვლენის აღმოსაფხვრელად. ეწინააღმდეგებიან იმასაც კი, რომ მოსამსახურე იქ დასვან, სადაც საქმე მოითხოვს. ქუთაისის კანტორაში რაღაც გაუგებრობით ერთ რემინგტონზე მსახურებდა 6 ქალი, ძველიდან დარჩენილები, ადმინისტრაციამ ეს ზედმეტი ხალხი დაითხოვა. აგრეთვე ტფ. ტელეგრაფში რამოდენიმე დაბალი მოსამსახურე მუშაობდა ისეთ საქმეზე, რომელიც მას არ შეეძლო შეესრულებია და ამით საქმე ფუჭდებოდა, ადმინისტრაციამ ისინი გადაიყვანა ცოდნისთვის შესაფერ ალაგას. ეს ორი აქტი საშინლად არ მოსწონს მიუდგომელს და მის ამქარს, რადგან, როგორც დანამდვილებით გავიგეთ, დათხოვნილები მათი ნათესავები და მათ მიერვე ამ მყუდრო ადგილზე მოკალათებულები ყოფილან. აქ მარხია ძაღლის თავი და არა „დიდი და პატარა ხნის ნამსახურობაში“, რასაც რემინგტონისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

ჩაქუჩი.

(დასასრული იქნება)

კ. ციმბირელის წერილის გამო

„ერთობის“ № 233 ში მოთავსებულია ამხანაგ ციმბირელის წერილი, რომელსაც ძლიერ არ მოსწონს რკინის გზელთა კავშირის გამგეობის მოღვაწეობა. ციმბირელის წერილის შინაარსს განცვიფრებაში მოვყავარ და შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ ის ახლაც ციმბირში იმყოფება.

არც ჩვენ ვართ მადლიერი სასურსათო კომიტეტზე, რომელმაც 80 თუმნიანი ფეხსაცმელები გამოაწყო მაღაზიაში, რამაც ტყუილა თვალები დამიბრიალა, თორემ იმის ყიდვას ხომ ვერ შევსძლებდი. ჩვენ ისევ სალდათის ბაზარზე გამოტანილ სალდათის 100 მ. „ბატინკებით“ მივდივართ იოლათ, რომელიც რკინის გზელისაგან ვიყიდეთ, რომელსაც სასურსათო მაღაზიისაგან გამოეტანა ხუთ-თუმნათ (ეს მერე გავიგეთ). ასე რომ, ნუ გიკვირთ სპეკულიანტობა 80 თუმნიან ფეხსაცმელებზე. ასეთები ხდება იაფ ფასიანებზედაც. თქვენ ამბობთ, გამგეობა ვერ უწევდა ანგარიშს მუშების სულისკვეთებასო. აქ საქმე ხომ არა გვაქვს წარმოებაზე მუშების კანტროლის (კომუნისტურათ), ან შეიძლება თქვენ მაქსიმალიზმის უარყოფაზე გვდებთ ბრალს? უნდა ვაღიარო, რომ ჩვენ სახელმწიფო თვალსაზრისზე ვიდექით და მუშების სულისკვეთებას ვუწევდით ანგარიშს, შესაძლებლობის ფარგლებში. ბევრის გაკეთება იყო საჭირო: ჩვენ კი სულ ცოტა შევსძელით, არც ვტრაბახობთ ბევრის გაკეთებით.

საავათმყოფოს შესახებ მე ავნუსხე ის, რაც სინამდვილეს შეიცავდა. იქ ვიწექი ორჯერ და დავინტერესდი, როგორც სისუფთავე, ისე ავათმყოფისადმი მოპყრობა, სასმელ-საჭმელი, ყოველივე რიგზე იყო, უკეთ წინანდელზე და დავრწმუნდი, რომ ამის მიზეზი ექიმი შატილოვი და ზანდუკელი ყოფილან. რაც შეეხება წამლებს, ეს მეც ავღნიშნე, რომ არ იშოვება, მაგრამ—ეს არ არის ექიმების ბრალი, რასაც მისცემ, იქიდან მოგიმზადებენ წამლებს. გურგენოვის შესახებ არას ვიტყვი, ის შტატის კომისიამ დასტოვა შტატს გარეშე. ბუკში, წილოსანი და კომპანია ცენტრალურ გამგეობამ კომისიის თანახმათ გადაიყვანა სხვაგან და თუ ვინმე კერძოთ მათ ეხმარებათ გამგეობის წევრთაგან და ეს თქვენ იცით, უნდა გამოგეაშკარავნათ და ჩვენც თქვენთან ერთათ მას ჩავცხებდით მუჯლუგუნს კისერში. სწერთ: კულტურული მხრივაც არა გაკეთებულა-რაო, გარდა იმისა, რომ კუპრაშვილმა ერთხელ მოხსენება გააკეთებინა ლომთათიძეს მომენტზეო. ჯერ ერთი ეს არ უქნია მარტო კუპრაშვილს (აქ ცოტათ თქვენ ქება მოგდით კუპრაშვილისადმი), ეს ცენტრის გამგეობის საქმე იყო. კულტურულ ნიადაგზე ცენტრი ეხმარებოდა ადგილობრივ რაიონებს ლექციების მართვაში, კლუბების აშენება განახლებაში, წიგნთ-საცავ სამკითხველოების გახსნაში, მოძრავ-ბიბლიოთეკის აღორძინებაში, ბროშიურების გამოცემაში და გაზეთების ხელმძღვანელობაში, რა თქმა უნდა, შეძლებისდაგვარათ.

თქვენ თხოულობთ დაბალ ადმინისტრაციის გაძევებასაც კავშირიდან, რაც კავშირის რიცხვს გაანახევრებდა. თუ კი ეს სასარგებლო იქნება დემოკრატიისათვის, ჩვენ არც ამის საწინააღმდეგო გვექნება რაიმე, მაგრამ ვშიშობთ, ვაი თუ ამ არევ დარევამ შეიტანოს ზიანი რკინის გზის ორგანიზაციაში. ერთათ-ერთი ეს სამოსწავლო კომიტეტი არის თავის ადგილზეო ამბობთ თქვენ. რა სასიამოვნო იქნებოდა, რომ ეს ასე იყოს, მაგრამ რად დაგავიწყდათ ბებერის წერილის შემდეგ რკინის გზის სკოლებიდან რომ ათამდე გამორეკეს მასწავლებლები? ეს უნდა მიგეღოთ თქვენ მხედველობაში საყურადღებოთ მაინც. ჩვენ თავს არ ვიქებთ, უძლური გამოვდექით, შეუძლებელი გაგვეკეთებია და ჩვენ დიდი მოხარული ვიქნებოდით ახალი გამგეობის სიკარგით.

კვაწარახი.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 16 ოქტომბერს შეიკრიბა ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის ჩვეულებრივი კრება, რომელსაც დაესწრენ წარმომადგენლები „სლონიდან“, არამიანცის საავადმყოფოდან, მესამე რაიონის სახალხო გვარდიიდან და ქალთა ორგანიზაციიდან.

თფილისის კომიტეტიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. მ. წივწივაძე, რომელიც ვრცლად აცნობს კოლექტივს ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენლის მოხსენებას თფილისის კომიტეტში, რომელიც ეხება დამფუძნებელ კრების ს. დ. ფრაქციის პ. მუშაობას, ბაქოში პარტიული მუშაობის საიმედო ნიშნებს, სატარიფო პალატის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს მუშათა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, სკოლების რეფორმას და სხ. კოლექტივმა მოიწონა მუშაობა, რომელიც მიმართულია მუშათა კლასის და დემოკრატიულ რესპუბლიკის ასაღორძინებლად და შეუდგა სხვა საკითხების განხილვას.

კომისიის წევრი ამხ. ის. ხუციშვილი კოლექტივს აცნობს, რომ გამართულ იქნა წარმოდგენა, რომლის შემოსავალი გადაეცა ავათმყოფ ამხ. სირაძეს.

სანიტარული კომისიის წევრი ნ. სხულუხია აცნობს კოლექტივს, რომ ავლაბრის რაიონისთვის უნდა შესდგეს სანიტარული საბჭო, რომლის მოვალეობას შეადგენს სისუფთავის დაცვა, სავაჭრო მოედნებზე ვაჭრობის მოწესრიგება და საერთოდ ქალაქის განაპირა უბნებზე ზრუნვა, ერთ ასეთ საზრუნავ საქმეთ სანიტარულ საბჭოს მომავალში ექნება წყალ სადენის მოწყობა განაპირა უბნებისთვის. კოლექტივმა მოისმინა მოხსენება და აირჩია სარეკომენდაციო კომისია, რომელიც შეიმუშავებს სანიტარულ საბჭოს საკანდიდატო სიას.

ქალთა არტელის გაერთიანების შესახებ პრ. კავშირში მოხსენებას აკეთებს ოლ. ბაქრაძე. კოლექტივი პრინციპიალურად ეთანხმება არტელის გაერთიანებას, მხოლოდ ავალებს მომხსენებელს წავიდეს პროფ. კავშირთა ცენტრალურ საბჭოში ინსტრუქციის მისაღებად.

მდივანი.

მუშათა შორის

კავშირების საყურადღებოთ. ჟურნალ „მუშათა ცხოვრების“ რედაქცია სთხოვს კავშირებს გაასწორონ ანგარიში 1 ნოემბრამდე, რადგან ამ დროისთვის რედაქცია იძენს ქაღალდს ჟურნალისათვის.

აქვე ვაცხადებთ კავშირებისა და საბჭოების ვალს.

პროვინცია: 1) სოხუმის საბჭოზე ითვლება 5240 მ., 2) ფოთის 6090 მ., 3) ჭიათურის 1110 მ., 4) ტყიბულის 1200 მ., 5) ქუთაისის 2792 მ., 6) ბორჯომის 1960 მ., 7) ბათუმის 1358 მ.

თფილისი: 8) რკინისგზელთა კავშირზე 5623 მ., 9) მეთამბაქოეთა 2874 მ., 10) ტრამვაის მოსამსახ. 1665 მ., 11) კახეთის რკ. გზ. 1800 მ., 12) ხელზე მოსამსახ. 1241 მ., 13) ღვინის სარდაფ. 1450 მ., 14) ლითონზე მომუშ 1081 მ., 15) სალახების 1540 მ, 16) ქალაქის თვით. 990 მ., 17) არტილერიის საწყობის 800 მ., 18) ბეჭვდითი საქმის 927 მ., 19) ელექტრონზე მომუშავეთა 445 მ., 20) საკრედიტო დაწ. მოს. 285 მ., 21) ტყავეულობაზე მომ. 375 მ., 22) ფარმაცევტების 360 მ., 23) მზარეულთა 165 მ., 24) დაბალ მოს. 355 მ., 25) სავაჭრო სარეწ. დაწ. 630 მ., სულ მისაღებია 42.358 მანეთი.

ფული უნდა გამოიგზავნოს ახალ მისამართზე: რუსთაველის ქუჩა, არამიანცის სახლი № 15, მეოთხე სართული. ოთახი მე 10.

რედაქცია.

პროვინცია

გარე-კახეთი. 12 ოქტომბერს სართიჭალაში შესდგა გარე-კახეთის გვარდიის წარმომადგენელთა ყრილობა, სულ დაესწრო კრებას 25 კაცი. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა მთავარი შტაბის წევრი ან. ჰიაზრიშვილი მდივნათ ვასო აზარიაშვილი. დღიური წესრიგი იყო შემდეგი: მოხსენება რაიონული შტაბისა, შტაბისათვის ადგილის გამონახვა, ჯარისთვის ასაკში მოსული გვარდიელები, რწმუნებულების საკითხი და შტაბის წევრების არჩევა.

შტაბის სახელით მოხსენება გააკეთა შტაბის თავმჯდომარე იაკობ აზარიაშვილმა, რომელმაც გააცნო კრებას შტაბის მდგომარეობა. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ შტაბს რაიონში ყავს 500 კაცი. ფრონტზე გაუგზავნია შტაბს ხუთი თვის განმავლობაში 285 კაცი.

შტაბის ადგილის გამონახვამ გამოიწვია კამათი: ნაწილი მოითხოვდა დარჩენილიყო საგარეჯოში, ხაშმელები მოითხოვდენ შტაბი გადატანილიყო ხაშმში წინადადებებს ეყარა კენჭი. 15 ხმით გადასწყდა ხაშმში იქნას გადატანილი.

გ. მოეერი.

ს. ზეკარი (ქუთაისის მაზრა). ეს სოფელი დაშორებულია ბ ღადს 20 ვერსით და მდებარეობს ქუთაის-აბასთუმნის გზა-ტკეცილის მახლობლად. აქ ამ ქამათ ზეკარი უყურადღებოდ არის მიტოვებული. არავითარი კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულება არ არსებობს, არც სკოლა და ბიბლიოთეკა, არც კოოპერატივი. სკოლა არსებობს ს. კაკას ხიდში, რომელიც დაშორებულია ზეკარს 3 ვერსით და ჯერ არც იქ დაწყებულა სწავლა. ამიტომაა, რომ სიშორის და სწავლის მოუწესრიგებლობის გამო ზეკარიდან არცერთი ბავშვი არ დაიარება ამ სასწავლებელში. ზეკარში 65 მდე კომლია. სასურველი და აუცილებელია, რომ ერობამ აქ გახსნას პირველ-დაწყებითი სკოლა, ვინაიდან კაკას ხიდის სკოლა, რომელიც სამ სოფელს ემსახურება (კაკას-ხიდს, ზეკარს და ალისმერეთს), ამიერიდან ვერ დააკმაყოფილებს სამივე სოფლებს. კოოპერატივი სამწუხაროთ არც კაკას ხიდში არსებობს და ამით აუტანელ მდგომარეობაში არიან ზეკარის და კაკას-ხიდის მშრომელი ხალხი.

საჭიროა, შეგნებულმა ნაწილმა საზოგადოებისამ, თვით იდვას თავს, და არსონ კოოპერატივი, სკოლა და სამკითხველო, რომ ამით ბნელით მოცული ხალხი სწორ გზაზედ დააყენონ.

იმედია ერობა, რომლის ხელშიც სწავლა-აღზრდის საქმე არის, ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ამ სოფელს, და თუ ბევრად არა, ცოტათ მაინც გააუმჯობესებს ზეკარის მცხოვრებთა მდგომარეობას.

შ. გოგოლაშვილი.

წერ. რედაქციის მიმართ

(კორესპონდენტ „აქაურის“ საპასუხოთ).

„გაზეთ „ახალ ნაკადში“ ვიღაც ახალ გამოჩეკილ „მაშვრალის“ მიერ მოთავსებული იყო „წერილი ოზურგეთიდან“, რომლითაც მე სხვადასხვა ხასიათის ბრალს მდებდა, არა თუ მარტო ადმინისტრაციაში სამსახურის დროს ჩადენილს, არამედ, თურმე დიდიხნის შეჩვეულებსაც. რა გინდათ რომ მე არ ვყოფილვარ და არ ჩამიდენია: „ცენზის“ (რა თქმა უნდა, მენშევიკურის). ახლად შემძენი, ავარა, ყაჩაღი, დიდი ხნით შეჩვეული „ჯიბის გავსებას“ (ალბათ მასწავლებლობის დროს). ვიღაც სვანიძის ყელში ხელის წაჭერას „ფულებისთვის“, (რა თქმა უნდა, დასახრჩობათ). რომლისთვისაც „დასჯილს“ ვითომ ჩემთვის სამინისტროში ეჩივლოს და მე სამსახურიდან გადავეყენებინე და პასუხისგებაში მივეცე; მტყუანის ნაცვლათ, მართალი ჩამისვამს ციხეში (ალბათ მღვდ. არ. დონდოლაძე). ბრალდების წაუყენებლათ ექვს ექვსი თვეობით მრავალი პირები ჩამიმწყვდევია ციხეში (ალბათ საზოგადოების ოქმებით წარმოდგენილი ქურდ-ბაცაცები) და სხვადასხვა. მაგრამ ყველა ეს დანაშაულობანი თურმე დაუფარავთ ჩემ ამხანაგებს, რადგან მე მენშევიკი ვარ და როგორც ასეთს, თურმე ყველაფერი მეპატიება. ყველა ასეთ უმგვანო საქციელის ჩამდენ პირთათვის ბ. „აქაური“ გამოსავალ გზათ ხედავს მხოლოდ სიკვდილს, რითაც ათავებს წერილს.

გამიგონია სიცრუე, ცილის წამება, წამიკითხავს რეაქციის დროს რუსულ-ქართულ შავრაზმულ პრესაში ჩვენი ამხანაგების წინააღმდეგ შეთითხნილი ტალახი, მაგრამ ეხლა, თავისუფლების ხანაში, თუ გაზეთის ფურცლებზე ადგილი ექნებოდა ასეთ სისაძაგლეს და ამასაც რედაქცია შეუმოწმებლად გაუშვებდა, ვერ წარმომედგინა. ნუ თუ ძნელი იყო რედაქციისათვის, რომ ის ფაქტის შესამოწმებლად ოზურგეთელ „მაშვრალთა“ ორგანიზაციას შეჰკითხებოდა?! რედაქციამ ეს არ მოიმოქმედა, ალბათ რახან წერილი მისი „პარტიის წევრისაგან“ იყო შეზავებულ-შეთითხნილი.

დაუშვათ, რომ ჩემმა ამხანაგებმა ჩემი „უმგვანო“ საქციელი დაფარეს და არც მე და არც ს. დ. პარტიას ამით ჩირქი არ მოსცხეს, მაგრამ, გეკითხებით თქვენ ბ. „აქაურო“ (უკეთ რომ ვსთქვათ დონდოლაძის ქურქ-გადაცმულო), რათ არ განაცხადეთ ამის შესახებ თქვენს ორგანიზაციაში? იქ ხომ თამამად შეგეძლოთ ყველაფერის თქმა და მაშინ, თუ საზოგადო ინტერესის დაცვით ხელმძღვანელობით, ხომ ადრევე შეიძლებოდა ჩემი თავიდან მოშორება. როგორც თქვენ პირადათ, მით უმეტეს ორგანიზაციას ხომ თამამათ შეეძლო ჩემი სისხლის სამართლით პასუხის გებაში მიცემა ყოველგვარ პარტიულ საფეხურების გარეშე? მაგრამ თქვენ ხომ სიმართლე არ გაინტერესებთ. თქვენ მიზნათ გქონიათ დასახული ჩემი ტალახის სროლით დონდოლაძისებურ „უცოდველ ბატკნების“ დაცვით ფონს გასვლა და უდანაშაულო ხალხის სისხლით გასვრილ ხელების პილატესავებ განბანა, მაგრამ გვიანია. ხალხმა კარგად იცის, ვისი დაცვაც გიფიქრნიათ თქვენ, აღნიშნულ წერილით. თუ ეს ასე არაა, დამისახელეთ: როდის ვიყავი მე ავარა, ყაჩაღი, როდის მჭიროდა მე მენშევიკური ცენზის ძიება, ვისგან ან როდის ამიღია რაიმე ქრთამათ ან თუ გინდ საჩუქრის სახით. როდის იყო, რომ მე ვისმეს ფულის გულისთვის ვსცემდი და ვტანჯავდი; ვინ არის ის თქვენი „უდანაშაულო“, პირი რომელიც მართლის მაგივრათ ვსტანჯეთ ციხეში ან მე და ან ჩემმა ამხანაგმა გერ. ღლონტმა და გინდ რომელიმე ოზურგეთის მაზრის ადმინისტრატორმა? ან ვინ არიან ისინი, რომელნიც ჩვენი განკარგულებით ექვს ექვსი თვე იტანჯებიან სატუსაღოში ბრალდების წაუყენებლად? ან რომელია ის „მუშა, რომელიც ჩვენ ამოგვილპია უდანაშაულოთ? არ მიმაჩნიხართ რა თქვენ კომპეტენტურ პირათ, „ახალი ნაკადის“ რედაქციას ვსთხოვ, თუნდაც პიროვნების გამოუმჟღავნებლათ აღნიშნოს ჩემი მექრთამეობა. თქვენ კი ბ. „აქაურო“ უნდა დაგამშვიდოთ, რომ მე ჯერჯერობით არსად არ ვმსახურობ, თუმც სამსახურს თავი გავანებე ჩემი სურვილით და არა სამინისტროს განკარგულებით, რადგან ჩემთვის არავის არასოდეს არ უჩივლია, როგორც ეს თქვენ დაგვისიზმრიათ.

ოზურგეთის მაზრის კომისარის ყოფილი თანაშემწე **ილარიონ ლომაძე.**

ბიბლიოგრაფიული შენიშვნა

ს. შილაკაძის სურათი.

გამოვიდა და იყიდება კანტორა „განათლების“ გამოცემა, ს. შილაკაძის მიერ შესრულებული ესკიზი ნოე ჟორდანიას მოხსენებიდან სახალხო გვარდიის ყრილობაზე. სურათზე გამოხატულია ხალხის ბელადი ნოე ჟორდანია უფსკრულის პირას ვიწრო გზაზე; მას უკან მიჰყვება ვალიკო ჯუღელი შუბითა და დროშით და შემდეგ მიყვება შეიარაღებული მხედრობა. ძირს ხევი მარჯვნივ და მარცხნივ ავსილია მებრძოლი ადამიანების ჩონჩხებით, ძვლებით, რომელიც იფარება ყუმბარების ჯოჯოხეთური ცეცხლით — ეს სამოქალაქო ომის საშინელებაა. წინ მოსჩანს მებრძოლთა ძვლებზე აღმოცენებული სოციალიზმის ემბლემა თეთრი დროშით, მისკენ მრავალი გზებია მიმართული. მას გარშემო თეთრი ღრუბლები აკრავს, რომლებიც მზისკენ მიიზიდებიან, მაგრამ მზესა და თეთრ ღრუბლებს შორის კიდევ მოსჩანს შავი დაგრაგნილი ღრუბლები, რომლებიც საშუალებას არ აძლევს მზეს თავის ცხოველ მყოფელ სხივებით შემოსოს მშრომელი ხალხის საოცნებო იდიალური ქვეყანა.

ერთი გზით მიმავალი ნოე ცალ ხელს იშვერს სამოქალაქო ომის ცეცხლისკენ და ამბობს „არც მარჯვნივ, არც მარცხნივ.—მას მეორე ხელი სოციალიზმისკენ გაუშვერია და ამბობს—აი ჩვენი სწორი გზა სოციალიზმისკენო“.

აქ არ მინდა ვილაპარაკო სურათის დამუშავებაზე, რომელიც აუცილებლათ მას ესაჭიროება, მაგრამ ეს პირველი ცდა მხატვრის მეტად სასურველია. მუშათა კლასს ყოველთვის სჭირდება დროის და მომენტის გაშუქება, როგორც სიტყვით და წერით, აგრეთვე ყოველ გვარი ხელოვნებით.

მე კი ვუსურვებ ახალგაზრდა მხატვარს მომავალში გაეგრძელებიოს და გაემშვენიერებიოს დაწყებული საქმე. სურათი კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი და ღირს 5 მან.

ი. ტ.

განცხადებანი

რვეულები

მოწაფეთათვის, საუკეთესო ქაღალდისაგან იყიდება ბითუმათ და ცალობით. მისამართი: ვორონცოვის ძეგლის ახლო, ვ. მალხაზიანის მაღაზია. (2752—10—1)

ექიმი **ივ. გოკერია**

იღებს ქირურგიულ, ქალთა სნეულების და საკუშერკო ავადმყოფებს ყოველ დღე ვაგზლის სამკურნალოში 12—1 ს. ვაგზლის ქუჩაზე, შიხინოვის აფთიაქის გვერდით, სახლი 8, ტელეფონი 6—95. (თ. 2744)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა **ი. ბ. ჩიხრაბიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; ხასინჯვა და წამლობა Xს სხივებით, დიდი სალენოიდი და არსევალი, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ ყოველ დღე დილის 8—12 საათამდე და საღამოს 6—9 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

კბილის ექიმი **ი. მ. ზიბაური-მხაძიანი**

იღებს კბილისა და პირის ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე. გრიბოედოვის ქუჩა № 15 ბინ. 3. კონსერვატორიის მახლობლად.

ექიმი **ნ. დ. ტურიაშვილი**

იღებს ავადმყოფთ შინაგან, ქალურ და საბებიო სნეულ. მუდამ დღე 11—1 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა № 7 ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

დოქტორი **რომანოზ ბაქრაძე.**

სპეციალურად ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებიან ავათმყოფთა მიღება დილის 11—12 საათამდე 4—5 ნახ. საათ. გერმანელთა სამხედრო საავათმყოფოში, [illegible] № 15 კვირა დღეებ. გარდა (2603—2—2)

ექიმი **ა. ლევენშტეინი**

შინაგანი ავათმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით აქიმობს გულის, ფილტვების, კუჭის და ჰაჰების ავათმყოფობათა. რენტგენის სხივები. კრილოვის ქ. სახლი № 5 გონიელოვისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

მედიცინის დოქტორი **ა. ა. მოსხი.**

ნერვიული, შინაგანი და საბავშვო ავათმყოფობანი ელექტრო-სხივებით მკურნალი კაბინეტი, ჰიპნოზი შთაგონება. ავათმყოფების მიღება დილის 10 ნახ.—1 საათამდე, საღამოს 6—7 საათ. კვირაობით და ხუთშაბათობით საღამოობით ავათმყოფები არ მიიღებიან. მიხეილის ქ. (პლეხანოვისპრ.) № 111 ტელ. 13—42

ექიმი **დ. ი. ჩაჩარიძე**

ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65

ექიმი **ი. ჩიჯავაძის** ბაქტერიოლოგიური, სერო დიაგნოსტიური და ქიმიურ-მიკროსკოპიული **ლაბორატორია**

იღებს გამოსაკვლევად სისხლს: Wassermann-ის; Weinberg-ის, Widal-ის რეაქციები, სრული კლინიკური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, მალარია, Opermeyer-ის სპიროჰეტები და სხვა. შარდს, განავალს, ნახველს, რძეს, ლორწოს, ჩირქს, ზურგის ტვინის სითხეს, კუჭის სითხეს და სხვა. ამზადებს აუტოგენიურ ვაქცინას. 26 მაისის (ოლღას) ქუჩა. გაბაანთ შესახვევი № 3. მასალა მიიღება დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ექიმი **ბესარიონ პაპოვი**

მიიღებს განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს ყოველ დღე 11—12 საათ. დილით, 5—7 საათ. სად. მიხეილის პრ. 117, ტელ. 13—27

ექიმი **დ. ვ. ჯავახიშვილი.**

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (საავათმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

დოქტორი **ი. ი. ჩამბურიძე.**

სისხლის გამოკვლევა სიფილისიანზე (Wasserman'-ის რეაქცია) ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა დიფტირიზე, ტიფზე, გონოკოკზე და სხვ. პირადათ ნახვა დილის 8 ნახ.—10 ნახ. საათ- სად. 5—7 საათ. დიფტერიტზე მიიღება დილის 8 სად. 8 საათ. გრიბოედოვის ქ. № 12 ტელეფონი 16—82.

ექიმი **ს. ა. ზაზრაძე**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“. ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით მისამართი: ოლღას ქუჩა № 33.

ექიმი **დ. ა. სარალიძე.**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

დოქტორი **მ. გოლდშტეინი.**

თვალის ავათმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე და სად. 4—7-დე ნიკოლოზის ქ. № 32

ექიმი ქალი **რ. ა. [illegible]-ხახაშვილი**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას სიფილისის წამლობა (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26.

ექიმი იოსებ რაფიელის ძე ცინცაძე

იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლეხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტელეფონი 11—06.

ექიმი **ა. ი. ძუთათელაძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულ. ავადმყოფთ სად. 5—7 საათ. გარდა კვირისა. მიხეილის პრ. № 55. ფოსტის პირდაპირ. ტელ. 10-46.

ექიმი **ა. დ. [illegible]**

სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606“ და „914“, მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ № 116. ტელ. 14—28.

ქართული ლატარიის გამგეობა

ამით აუწყებს თავის პროვინციის კომიტეტებს და ყველა აგენტებს, რომ ვინც ამა თვის 25 მდის არ წარმოადგენს გაუყიდველ ბილეთებს, შემდეგ კანტორა ბილეთებს აღარ მიიღებს და კომიტეტებს თუ აგენტებს მოსთხოვენ წარმოუდგენელ ბილეთების ფასს. ლატარიის გათამაშება მოხდება 2 გიორგობისთვის სახელმწიფო თეატრში. (ნ. 4—2)

მსწრაფლ მბეჭდავი სტამბა რ. ხარაძისა, [illegible] შესახვევი № 1